MES 7 21 0000725384

20/07/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 06.07.2021
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 21:05 სთ
სხდომის თავმჯდომარე: ნინო იმნაძე;
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
3. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
4. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
6. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;

7. **ნიკა თიკანაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
8. **გიორგი ღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. **დავით კაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
10. **დიანა მჭედლიშვილი -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
11. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
12. **თამარ ჩხეიძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
13. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
14. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
15. **ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ანი ბილანიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	ზაურ ლომთათიძე	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I
2.	ნესტან კეკელია		ფაკულტეტის დეკანი	I
3.	მარინა ზარქუა			I

			ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,	
4.	რომეო გალდავა		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
5.	ილია გოროზია		ასოცირებული პროფესორი	I
6	ირაკლი კორძაია	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მ.შ.	II-III
7	ნანი მამულაძე		ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	II
8	ლელა თურმანიძე		ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი	II
9	ნუგზარ ღომიძე		ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	II
10	ლალი კალანდაძე		ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	II
11	მარინა ქორიძე		საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი	III
12	თეა ქოიავა		საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი	III
13	ანთაზ ქიქავა		გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III
14	მერაბ ფუტკარაძე		გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III
15	ნინო ტალიაშვილი	შპს ევროპის უნივერსიტეტი	რექტორი	IV
16	ნათია ჯოჯუა		მედიცინის ფაკულტეტის დეკანი	IV
17	თინათინ გოგნაძე		მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	IV
18	სოფიო სამხარაძე			IV

			სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამის ხელმძღვანელი	
19	მარიკა ზურმუხტაშვილი		სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამის თანა-ხელმძღვანელი	IV
20	ანა გვრიტიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.	IV
21	პაატა გოგიშვილი,	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი	V
22	ვალერი მოდებაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	V

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	ირინა ნაკაშიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მაგდა ალანია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	მიხეილ ბიჭია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ნინო დეკანოიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I-III
5	მარიკა ტატიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	გიორგი დალაქიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	სოფიო უგრეხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II-III
8	ბაქარ დუაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	მალხაზ ღვინჯილია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	მარიამ ელიზბარაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	ვლადიმერ მარგველაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
12	ელენე გიგინეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
13	ნანა მდინარაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
14	დავით მაკასარაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
15	დავით გეგეჭკორი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
16	ირაკლი გორგილაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
17	ქრისტინე ჩიხლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
18	ცოტნე ცაავა	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნინო იმნაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ბიოლოგიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გეოგრაფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
5. შპს ევროპის უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- დიახ

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ბიოლოგიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გეოგრაფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
4. შპს ევროპის უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა.
5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

1. **პირველი საკითხი:** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ბიოლოგიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1		ბიოლოგია

	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 11 დეკემბრის # 769 გადაწყვეტილება)
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ბიოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0511 ბიოლოგია
12	კვალიფიკაციის კოდი	-
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240 კრედიტი
15	განხორციელების ადგილი	ა. პოლიტკოვსკაიას N26, თბილისი, 0186, საქართველო მეორე სასწავლო კორპუსი
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა მაკა კაჭარავამ
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირინა ნაკაშიძემ ისაუბრა, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ბიოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე და აღნიშნა, რომ „ბიოლოგიის" საბაკალავრო პროგრამა, ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის, სისუფთავისა და საზოგადოების მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, პროგრამა შეძლებს მოამზადოს კვალიფიციური კადრი დარგის მიმართულებით. ასევე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა მხარდაჭერილია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან და უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსებით და ძირითადი მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურით. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს კვალიფიციური აკადემიური პერსონალი, ასევე პროგრამას ხელმძღვანელობს დარგის კვალიფიციური და გამოცდილი ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს მრავალწლიანი, როგორც სამეცნიერო, ასევე პედაგოგიური გამოცდილება. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს შესაძლებლობა, სასწავლო პროცესი წარმართოს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა ვიზიტის ფარგლებში დაეთვალიერებინა ადგილობრივი ინფრასტრუქტურა, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით უზრუნველყოფს პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსების მიხედვით ლაბორატორიული მეცადინეობების წარმართვას დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც დღეს არსებული ტენდენციებისა და პრობლემების გათვალისწინებით, წარმოადგენს მნიშვნელოვან და საყურადღებო ფაქტს. მან ასევე აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულთა პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ხაზს უსვამენ და დადებითად აფასებენ დამსაქმებლები, რაც დასაფასებელია. უნივერსიტეტს აქვს შესაძლებლობა, პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსების მიხედვით რეალურად განახორციელოს, ლაბორატორიული მეცადინეობები თავის ბაზაზე. ასევე უნივერსიტეტს აქვს თანამედროვე მოლეკულური ბიოლოგიის ლაბორატორია. ინსტიტუციას გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა უნივერსიტეტებთან სადაც სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა შეასრულოს ნაშრომი მემორანდუმის ფარგლებში.
პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დანარჩენი ოთხი სტანდარტი, მიუხედავად ქვე-სტანდარტებში წარმოდგენილი რეკომენდაციებისა, მთლიანად გავიდა სრულ შესაბამისობაზე.
ექსპერტმა ისაუბრა რეკომენდაციებზე. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას აღნიშნა, რომ მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ინსტიტუციის უკვე აქვს პოლიტიკა და ცდილობს გარკვეული ნაბიჯები გადადგას, რათა გააუმჯობესოს ეს მიმართულება. მეორე რეკომენდაცია დაკავშირებულია თეორიულ საბაკალავრო ნაშრომთან. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, თეორიული საბაკალავრო ნაშრომი სრულად ვერ შეძლებს კომპეტენციის რუკაზე სამივე შედეგზე გასვლას, შესაბამისად გასასწორებელია სწავლის შედეგების რუკა. გარდა ამისა რამდენიმე სასწავლო კურსის შემთხვევაში სილაბუსის შეფასების ფორმებსა და მეთოდებში შეინიშნება უზუსტობები და ხარვეზები. ხოლო მესამე რეკომენდაცია, შეეხებოდა ბიუჯეტს. ბიოლოგია დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოითხოვს ადაპტირებულ ბიუჯეტს და ექსპერტთა მოსაზრებით სასურველია ბიუჯეტი დაკონკრეტდეს, რათა უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა და სრულად მიღწევა. პროგრამით განსაზღვრულ მთელი რიგი აქტივობებისა, სასურველია

მაგალითად სხვა ხარჯების შემთხვევაში გაიზარდოს ბიუჯეტი, რათა არ წარმოშვას კონკრეტული პრობლემა ან რომელიმე, სხვა აქტივობიდან თანხის წამოღების შემთხვევაში არ მოხდეს აქტივობასთან დაკავშირებული პრობლემის წარმოქმნა.
ექსპერტთა თავმჯდომარემ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი იქნა არგუმენტირებული პოზიცია, რასაც გაეცნო ექსპერტთა ჯგუფი. პროგრამის განვითარებისათვის რეკომენდირებულია ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება და გაღრმავება. ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება, თუნდაც ორი სტუდენტის ჩართულობას გაცვლით პროექტებში, თუმცა ვიზიტის ფარგლებში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა საუბარი, სხვა შემთხვევაში ეს გარემოება აუცილებლად იქნებოდა აღინიშნული მათ მიერ. ასევე ექსპერტმა, განმანრტა რომ არც არგუმენტირებულ პოზიციაში იყო დაზუსტებული კონკრეტულად, რომელ სასწავლო წელს ეხებოდა სტუდენტების გაცვლით პროგრამაში ჩართულობა, იქიდან გამომდინარე, რომ არ იყო წარმოდგენილი წლები და ექსპერტებისათვის დაუზუსტებელი იყო ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის წარმოდგენილი რეკომენდაცია დარჩა რეკომენდაციად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, რომეო გალდავამ აღნიშნა, რომ ინსტიტუციას აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთი მიმართულებაცაა. შესაძლებელია აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობა ნაკლებად არის შესამჩნევი, თუმცა არის და შეინიშნება. ინსტიტუცია მზად არის გადადგას ქმედითი ნაბიჯები ინტერნაციონალიზაციის მიმართებით აღნიშნულ პროგრამაზე, თუმცა უნივერსიტეტში უამრავი პროექტი ხორციელდება. ხოლო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მხრივ პროექტების სიმცირე არის პრობლემა. რაც შეეხება ბიუჯეტთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პროგრამები პირველად გავიდა ამ ტიპის ბიუჯეტირებით. ეს ფორმა მიღებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ და ჩატარდება ანალიზი, რადგან შესაძლებელია სპეციფიკა არ ყოფილიყო გათვალისწინებული. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ღებულობს შენიშვნას და მომავალში გადავლენ დივერსიფიცირებულ ბიუჯეტზე. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი პატარაა და არ აქვს დიდი ბიუჯეტი, რომ ცალკე პროგრამაზე იყოს, თუმცა ამ მიმართულებითაც გადაიდგემბა ქმედითი ნაბიჯები.
საბაკავრო ნაშრომების თეორიულ ნაწილთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე ისაუბრა დაწესებულების წარმომადგენელმა, ზაურ ლომთათიძემ და აღნიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომების უმეტესობა ექსპერიმენტული ხასიათისაა, თუმცა რიგი ნაშრომებისა შესრულებულია პროცესების მონიტორინგისა და ანალიზის მიმართულებით, რომელიც გარკვეულ კავშირშია სწავლის შედეგების განმტკიცებასთან. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია ზოგადად მისაღებია და ამ მიმართულებით გადაიდგმება შესაბამისი ნაბიჯები, თუმცა სურს მათი ხედვა ამასთან დაკავშირებით მოახსენოს საბჭოს. 2021 წელს, პროგრამის ორმა სტუდენტმა მოინდომა საბაკალავრო ნაშრომი გაეკეთებინა ვაქცინაციისა და ვაქცინების შესახებ. იმ ვაქცინების შესახებ, რომელიც შემოსულია საქართველოში და მათ ავკარგიანობაზე ჯერ-ჯერობით კონკრეტული პასუხი არ არის. ამიტომ სტუდენტმა ითხოვა, რომ თვითონ გაანალიზებდა ვაქცინების შესახებ დამზადების ტექნოლოგიას და მის გვერდით ეფექტებს. ასევე მეორე თემა შეეხებოდა, თვით კორონა ვირუსებს, კერძოდ Covid-19 და მისი მუტანტური შტამები. ანუ გენუმის მოდიფიკაცია და შესაბამისად ის გვერდითი ეფექტები, რომელიც თან მოსდევს კოვიდ მოხდილ პაციენტებს. სტუდენტს სურდა გენუმის მოდიფიკაციის ხასიათი უახლოესი მონაცემების საფუძველზე დაეთმო. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სტუდენტს დართო ნება აღნიშნულ საკითზე მუშაობის და ერთად მუშაობით დაიდო შესაბამისი შედეგი. ერთ-ერთი შედეგი

დაემთხვა, ახლახან გამოქვეყნებულ ერთ-ერთი კლინიკების ქსელში კოვიდ მოხდილ პაციენტების ანალიზს გვერდითი მოვლენების შესახებ, სადაც აღმოჩნდა ძალიან საინტერესო პარამეტრი, რომელიც გულისხმობდა ეთნიკურ წარმომავლობას სწორედ Covid-19-ის ხარისხის დასნებოვნების შესახებ, აქედან გამომდინარე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მას მიაჩნია ზოგიერთ შემთხვევაში დაშვებული იქნას თეორიული ნაშრომი, იმის გათვალისწინებით, რომ მე-20 საუკუნე ცნობილია უოტსონის და კრიკის უდიდესი აღმოჩენით დეენემის მოდელის შესახებ, მათ ექსპერიმენტები არ ჩაუტარებიათ, მაგრამ დეენემის კვლევის შედეგები გაანალიზეს და დადეს მოდელი, რომელიც ნობელის პრემიით აღნიშნა, ასევე იყო მენდელეევის პერიოდულობის კანონი სადაც ასევე არ ჩატარდა ექსპერიმენტი, მაგრამ მან იწინასწარმეტყველა უამრავი ახალი ქიმიური ელემენტი. რაც შეეხება მესამე რეკომენდაციას „გასწორდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის (მაგალითად, ეკოლოგია, უხერხემლოთა ბიოლოგია, ქიმიის შესავალი, ციტოლოგია, ჰისტოლოგია, ხერხემლიანთა ბიოლოგია, ბიოფიზიკის საფუძვლები, განვითარების ბიოლოგია, მოლეკულური ბიოლოგია და სხვა.) სილაბუსში შეფასების ფორმებსა და მეთოდებში არსებული ხარვეზები;“ დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია მიღებულია და ამ მიმართულებით ჩატარდა სამუშაოები და ხარვეზები გასწორდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, გაიანე სიმონია დაინტერესდა რა დონეზე ისწავლება იმუნოლოგია, რადგან პროგრამაში ის არჩევითი სასწავლო კურსია, ხოლო ამ მიმართულებით სტუდენტების ინტერესი იკვეთება, ხომ არ მიაჩნიათ დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ უფრო გაძლიერებულად უნდა ისწავლებოდეს აღნიშნული მიმართულება.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა კითხვით მიმართა ინსტიტუციას, რამდენად არის შესაძლებელი სტუდენტებმა ინდივიდუალურად იმუშაონ ლაბორატორიულ მეცადინეობებში. ვინაიდან ვიზიტის დროს ამის შეფასება არის შეუძლებელი საბჭოს წევრმა სთხოვა ინსტიტუციის წარმომადგენლებს დაედასტურებინათ. ასევე საბჭოს წევრმა დადებითად შეაფასა სამაგიდო კვლევის გაკეთების შესაძლებლობა ბიოლოგიაში, თუ იქნება სხვადასხვა სამეცნიერო სტატიების მიმოხილვა და შემაჯამებელი დასკვნის გაკეთება, თუმცა აღნიშნა, რომ რთულია ხოლმე რეფერატორული ტიპის სამუშაო არ გამოვიდეს და იყოს კვლევითი კომპონენტი, როგორ ახერხებენ, რომ კვლევის კომპონენტი იდოს საბაკალავრო ნაშრომებშიც. ასევე მან აღნიშნა, რომ ნახა ნაშრომი “პრენატარული გამოკვლევა“, რომელიც მედიცინა უფროა ვიდრე ბიოლოგია. მისი თქმით საკითხი რეფერატორიული მოეჩვენა და კვლევითი კომპონენტი უფრო ნაკლებად. შესაძლებელია ეს დამოკიდებული იყო ხელმძღვანელზე ან სხვა მიზეზებზე. როგორია ამასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გაეცნო წარმოდგენილ დოკუმენტს, რომელიც მისი აზრით შორეულად მიანიშნებს ურთიერთობას შრომის ბაზართან, რადგან ძირითადად საუბარია სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვაზე. ეს გარკვეულად კორელირებს შრომის ბაზართან მაგრამ ეს მაინც არ არის შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზი, ამიტომ მიზანშეწონილია, რომ იყო ჩატარებული რეალურად შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზი, რაზეც არის შესაძლებელი ე.წ „დესქრისერჩი“ და ასევე დამსაქმებლების უფრო ფართო მასშტაბით გამოკითხვა და სტრუქტურირება. ასევე საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მნიშვნელობა არ აქვს ბიუჯეტი ცოტა არის თუ არა, მთავარია როდესაც წარმოდგენილია არ იყოს განცდა თუ რამდენად მდგრადია. ამდენად პროგრამული ბიუჯეტის წარმოდგენა არის აუცილებელი, სადაც იქნება გაკეთებული მინიშნება, რომ თანხა არის ფაკულტეტის ბიუჯეტში. პროგრამა დარეგულირდება და სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილდება. როგორია ამასთან დაკავშირებით დაწესებულების პოზიცია.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას, რამდენად არის შესაძლებელი, რომ მათემატიკისათვის დათმობილ 3 კრედიტში გავლილი იქნას ყველა ის თემატიკა, რომელიც არის წარმოდგენილი?
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ პირველი სტანდარტის მიხედვით პროგრამა შეფასებულია, როგორც მეტწილი და საინტერესო რეკომენდაციაა გაწერილი „პროგრამის განვითარებისათვის რეკომენდირებულია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება;“. დასკვნის ნარატივში დაფიქსირებულია, რომ ინტერვიურებისას გამოიკვეთა ამ მიმართულებით მცირედი ხარვეზები და ასევე დაფიქსირებულია, რომ დაწესებულება თვითშეფასებაში აღნიშნულ საკითხს, სუსტ მხარედ აფიქსირებს. თუ არსებული ვითარებით იქნება სიტუაცია გაანალიზებული და არ გაძლიერდება სამომავლოდ ინტერნაციონალიზაცია, რამდენად უშლის ხელს პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევადობას ეს ფაქტორი და ასევე მეორე სტანდარტი შეფასებულია, როგორც სრული შესაბამისი. პირველი სტანდარტის მეტწილად შეფასება მარტო ინტერნაციონალიზაციამ განაპირობა?
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა რომ, პირველი სტანდარტის 1.2 ქვეკომპონენტშიც მხოლოდ ერთი რეკომენდაცია, რომელიც საბაკალავრო ნაშრომის პროგრამის შედეგებთან მიმართების დაზუსტებას მოითხოვს. სწორედ ამ ორმა რეკომენდაციამ განაპირობა ის, რომ მთლიანად სტანდარტი არის შეფასებული, როგორც მეტწილი? საბაკალავრო ნაშრომი, ძირითადად პროგრამის სწავლის შედეგებთან ბმაშია და ამასთან დაკავშირებით საინტერესო იქნება პროგრამის ხელმძღვანელის მოსაზრება, თუ კონკრეტულად რომელ შედეგებთან მიმართებით შეიძლება დაკორექტირდეს და რამდენად მწვავეა ეს ნაწილი, რადგან რეკომენდაციის სახე აქვს.
ექსპერტთა თავმჯდომარემ უპასუხა შეკითხვებს და აღნიშნა, რომ პირველი სტანდარტის მეტწილად შესაბამისობა გამოწვეული იყო იმით, რომ 1.1 და 1.2 ქვესტანდარტში წარმოდგენილი იყო თითო რეკომენდაცია, აქედან გამომდინარე მთლიანობაში პირველი სტანდარტი გადავიდა მეტწილად შესაბამისში. რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციის საკითხს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით ეს შეიძლება ყოფილიყო განსჯის საგანიც. აღნმიშნული ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ იქნა რეკომენდაციის ფორმით, თუმცა, ექსპერტმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ მათ არ ქონდათ დაზუსტებული მაგალითად გაცვლით პროგრამაში ჩართულ სტუდენტებთან დაკავშირებით წლებთან მიმართებაში და ა.შ. აღნიშნულმა გარემოებამ, გამოიწვია ერთგვარი დისკუსია, ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშრებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა დატოვა რეკომენდაცია. თუმცა, მათი მოსაზრებით ბევრი საკითხი შეიძლებოდა ყოფილიყო ამასთან დაკავშირებული, იქიდან გამომდინარე, რომ ბიოლოგია სფეციფიკური დარგია და მოითხოვს ინტერნაციონალიზაციას სწორედ დარგის სფეციფიკიდან გამომდინარე. თუმც,ა არც იმაზე შეიძლება ხაზგასმა, რომ თუნდაც ამ ნაწილით შესაძლებელია პროგრამა შედეეგზე ვერ გავიდეს. რაც შეეხება 1.2 ქვესტანდარტს, პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, ექსპერტმა განმარტა, რომ მისაღები იყო საბჭოს წევრის პოზიცია, რომ შესაძლოა რეკომენდაცია ყოფილიყო მეორე სტანდარტში წარმოდგენილი, თუმცა რადგან საკითხი შეეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგებს და საბაკლავრო ნაშრომის შემთხვევაში წარმოდგენილი იყო ის, რომ გადიოდა ასევე მესამე კომპონენტზე, აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, თეორიული ხასიათის საბაკალვრო ნაშრომი ვერ გავა მთლიანობაში სამივე შედეგზე, რის გამოც დასაკორექტირებელი იყო სწავლის შედეგების რუკა. ექსპერტმა მაგდა ალანიამ აღნიშნა, რომ შეეხებოდა უნარების გამტკიცებას, რომ თეორიული ნაშრომი ვერ გავიდოდა პრაქტიკულ უნარზე. მან დაამატა, რომ აღნიშნული რაც დასაზუსტებელი იყო რუკაში, უზუსტობების თავიდან არიდების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფი არ გამორიცხავდა თეორიული ნაშრომის არსებობას. ექსპერთა თავმჯდომარემ, ასევე აღნიშნა, რომ საკითხი არ არის მძიმე, თუმცა წარმოდგენილი რეალობიდან და მდგომარეობიდან გამომდინარე ექსპერთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ აუცილებლი იყო ამის აღნიშვნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზაურ ლომთათიძემ უპასუხა შეკითხვებს და აღნიშნა, რომ პროგრამაში სავალდებულო საგნები იყო „ვირუსოლოგია“ და „მიკრობიოლოგია“, სადაც გარკვეული ნაწილი დათმობილი აქვს იმუნოლოგიას. მაგალითად, ისეთი საკითხები, როგორიცაა იმუნური იმუნიტეტი, იმუნიტეტის სახეები და ა.შ. გაბნეული იყო როგორც მიკრობიოლოგიის სილაბუსში, ასევე ვირუსოლოგიის სილაბუსში. ამავდროულად პროგრამაზე იყო სამედიცინო მიკრობიოლოგია, სადაც დიდ ნაწილში შედიოდა იმუნოლოგიის საკითხები. პროგრამის წარმომადგენლებმა ჩათვალეს, რომ ამ ორ საგანში გაბნეული იმუნოლოგიის საკითხები, კარგ წარმოდგენას უქმნიდა სტუდენტს და დაინტერესების შემთხვევაში ამ პროგრამაში იყო არჩევითი კურსი, რომლითაც სტუდენტი უფრო გაიღრმავებდა ცოდნას ამ მიმართულებით. პროგრამის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გარდა ამისა ისინი ხელმძრვანელობდნენ იმით, რომ არ ყოფილიყო საკითხების თანხვედრა, რადგან „ვირუსოლოგია“ და „მიკრობიოლოგია“ შეუძლებელი იყო თუ არ იქნებოდა განხილული იმუნოლოგიის რიგი საკითხები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება გაითვალისწინებდა რჩევას და დაგეგმავდა მე-8 სემესტრში „იმუნოლოგიის“ ჩასმას.. დაწესებეულების წარმომდგენელმა ასევე ისაუბრა, თუ რამდენად იყო შესაძლებელი, რომ ლაბორატორიული მეცადინეობის დროს სტუდენტს შეეძინა უნარ-ჩვევები და როგორ შეიძლებოდა ყოფილიყო ასახული საბაკლავრო ნაშრომში ის, რასაც სასწავლო პროცესში იღებდა სტუდენტი. დაწესებულების წარმომდგენელმა, ასევე აღნიშნა, რომ ისინი დიდ ყურადღებას უთმობდნენ და შესაძლებლობებას აძლევდნენ სტუდენტებს ჩაეტარებინათ ექსპერიმენტები და შემდგომ, საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის დროს გამოეყენებინათ საჭირო უნარ-ჩვევევბი. ასევე ხშირად სტუდენტი, თვითონ ირჩევდა იმ თემატიკას და იმ მიმართულებით ექსპერიმენტს, რომლითაც ინტერესდებოდა და რომელიც ამ სწავლის პროცესში ჰქონდა შეძენილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რომეო გალდავამ ისაუბრა ბიუჯეტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საბჭოს წევრების კონსულტაციების და რეკომენდაციების შედეგად, ინსტიტუციამ დაიქირავა სპეციალური კომპანია და ამ მიმართულებით აგრძელებდნენ მუშაობას. მათემატიკასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საუბარი იყო მხოლოდ ფაქტებზე და პრაქტიკულ მეცადინეობებზე, ხოლო, დამტკიცებებზე და სიღრმებზეე არა, რადგან ასეთი იყო ბიოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელის დაკვეთა.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა მოეწოდებინათ დამატებითი ინფორმაცია ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე და აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზაცია მხოლოდ სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა არ იყო და მისი შეფასება მრავალ კომპონენტიანი გახლდათ, ამიტომ მას აინტერესებდა როგორი იყო ზოგადი ფონი ამასთან დაკავშირებით. ასევე, მან ჰკითხა დაწესებულებას საბაკალავრო ნაშრომის დაზუსტებასთან მიმართებით, საბაკლავრო ნაშრომის სწავლის შედეგების რუკაში მონიშნული კომპონენტები პრაქტიკულ ნაწილს რამდენად შეესაბამებოდა.

საბჭოს წევრი თამარ ჩხაიძე დაინტერესდა ჩარიცხული სტუდენტების დინამიკასთან დაკავშირებით, თუ რამ განაპირობა მკვეთრი ვარდნა 2016 წლის შემდეგ და ასევე არჩევით კურსებთან დაკავშირებით, მცირე რიცხოვანი სტუდტენტების გათვალისწინებით, როგორ რეგულირდებოდა მცირე რიცხოვანი ჯგუფების დაკომპლექტება არჩევით კურსებზე? როგორ ხდებოდა სტუდენტის არჩევანის დაკმაყოფილება, თუ გარკვეული რაოდენობის ჯგუფები არ შედგებოდა.

დაწესებულების წარმომადგენლმა, მარინა ზარქუამ სტუდენტების დინამიკასთან დაკავშრებით ისაუბრა და აღნიშნა, რომ მიღების გამოცხადებული რაოდენობა ყოველ წლიურად ივსებოდა პროგრამაზე და არ ყოფილა შემთხვევა, რომ თუნდაც ერთი სტუდენტი დაკლებოდა. ხოლო 2020 წლის მიღებაზე სტუდენტების სიმცირე, დაწესებულების წარმომადგენლების ვარაუდით გამოწვეული იყო იმით, რომ მესამე საგნად ჩაჯდა მათემატიკა, რისი გამოცხადებაც მოხდა

შედარებით მოგვიანებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შემდეგ წლებში დააკვირდებოდნენ ამ კუთხით ვითარებას და შესაბამისად განსაზღვრავდნენ კვოტას. ხოლო, რაც შეეხებოდა სტუდენტების დაკომპლექტებას არჩევით კურსებზე, მიმდინარე წელს მიღებული ჰყავდათ 10 სტუდენტი, რომელთა ნაწილიც ჩაირიცხა ეროვნული გამოცდებით და მათ დაემატა აზერბაიჯანელი სტუდენტები, რომლებიც ქართულის პროგრამით ჩაირცხნენ და ასევე საუკოპაციო ზონიდან, გალელი სტუდენტები. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ინსტიტუციას აქვს ელექტრონული სისტემა- studlab, სადაც სტუდენტს შეუძლია აზრის დაფიქსირება. თუმცა, სამწუხაროდ არსებობდა ზღვარი რომლის მიხედვითაც 10 სტუდენტზე ნაკლები ვერ კმაყოფილდებოდა არჩევითი სასწავლო კურისით.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს შეკითხვით: მათემატიკის ჩასმამ ბიოლოგიაში, ყველა უმაღლესი სასწავლებლების ბიოლოგიის პროგრამებზე იქონია გავლენა და ყველგან შემცირდა თუ არა მისაღები კონტიგენტი?
დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინა ზარქუამ ამასთან დაკავიშრებით უპასუხა, რომ საბუნებისმეტყველო დარგებთან მიმართებაში (ბიოლოგია, ქიმია), სადაც ბარდებოდა შესაბამისი სპეციალური საგნები, ორივე მიმართულებით გამოიწვია სტუდენტთა კონტიგენტის შემცირება.
საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ აღნიშნა, რომ პროგრამაზე ბევრი ანალიზი იყო, ანალიზი კი მათემატიკის გარეშე ვერ ჩატარდებოდა. ასევე 3 კრედიტში ძნელი იქნებოდა იმ თემატიკის შესწავლა, რომელიც პროგრამაში იყო წარმოდგენილი. შემდგომ მოდიოდა ფიზიკა, რომელიც ასევე 3 კრედიტში იყო წარმოდგენილი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, რომეო გალდავამ აღნიშნა, რომ მათემატიკასთან დაკავშირებით მათი პოზიცია იგივე დარჩა. აქამდე პრობლემა არ შექმნილა მოცემულ საკითზე. ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ მათემატიკას აბარებდნენ აბიტურიენტები მისაღებ გამოცდებზე, სინქრონულად განვითარდებოდა ეს საკითხი. რაც შეეხება რუკაზე, ერთ-ერთი იყო ექსპერიმენტების უნარი, თუმცა ამავე უნარში ასევე გაწერილი იყო ანალიზის უნარი. შესაბამისად შესაძლებლი იყო, რომ სტუდნეტი ექსპერიმენტით ვერ გავიდოდა ამ უნარზე, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლები ასე არ თვლიდნენ.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინა ზარქუამ ასევე დაამატა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს წარუდგინეს 2020 წლის საბაკალავრო ნაშრომები, რომელიც პანდემიის პირობებში იქნა შესრულებული, სწორედ ამან გამოიწვია, რომ უფრო მეტად იყო თეორიული ნაშრომები. მაგრამ ზოგადად, თეორიული უფრო ნაკლებია ვიდრე პრაქტიკული სამაგისტრო ნაშრომები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, რომეო გალდავამ ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს იყო დაწესებულების სტრატეგიული მიმართულება. აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტების და აკადემიური პერსონალის ჩართულობა უცხოურ პროექტებში, გაცვლით პროგრამებში იყო, თუმცა სასურველი იქნებოდა თუ გაუმჯობესდებოდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:08
დასრულების დრო: 15:35

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წლის წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

1. თეორიული საბაკალავრო ნაშრომი სრულფასოვნად ვერ განამტკიცებს სწავლის ყველა შედეგს, შესაბამისად, დასაკორექტირებელია სასწავლო კურსისა და სწავლის შედეგების რუკა.
2. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „იმუნოლოგიის“ არჩევითი სტატუსი შეეცვალოს სავალდებულოთი.
3. გასწორდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის (მაგალითად, ეკოლოგია, უხერხემლოთა ბიოლოგია, ქიმიის შესავალი, ციტოლოგია, ჰისტოლოგია, ხერხემლიანთა ბიოლოგია, ბიოფიზიკის საფუძვლები, განვითარების ბიოლოგია, მოლეკულური ბიოლოგია და სხვა) სილაბუსში შეფასების ფორმებსა და მეთოდებში არსებული ხარვეზები.
4. სასწავლო კურსის მათემატიკური მეთოდების მოცულობა შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან.
5. რეკომენდირებულია ყველა საბაკალავრო ნაშრომი მოიცავდეს ექსპერიმენტულ ნაწილსაც.
6. აუცილებელია, პროგრამით განსაზღვრული შედეგებისა და პროგრამის ფინანსური მდგრადობის სრულად მისაღწევად ბიუჯეტით დაკონკრეტდეს დაგეგმილი ძირითადი აქტივობები, ხოლო „სხვა ხარჯების“ ნაწილში თანხის ოდენობა გაიზარდოს, რათა სწორედ „სხვა ხარჯები“ იყოს ამა თუ იმ აქტივობისთვის აუცილებელი ღონისძიებების განსახორციელებლად გამოყენებული. შესაბამისად, ბიუჯეტის შედგენის წესი/ფორმა შეიცვალოს დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე და ადაპტირდეს ბიოლოგიის პროგრამისთვის.

რჩევები ფორმულირდა შემდეგი სახით:

1. პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდებულია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება.
2. სასურველია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი და დაზუსტდეს კვლევაში მონაწილე სუბიექტები.
3. სამომავლოდ კარგი იქნება საერთაშორისოდ აღიარებული უსდ-ების ანალოგი პროგრამების გათვალისწინებაც;
4. მისასალმებელია სასწავლო კურსის „აკადემიური წერის“ არსებობა, მაგრამ კარგი იქნება, წყაროთა მითითების წესსა და ტექნიკას, კერძოდ, აკადემიური წერის მინიმალური სტანდარტების დაცვას მიექცეს მეტი ყურადღება, ხოლო სასწავლო კურსის შინაარსი ფოკუსირდეს, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის მომზადებაზე.
5. სასურველია პროგრამის სტუდენტთა კვლევით პროექტებში უფრო მეტად ჩართვა.
6. კარგი იქნება, სასწავლო პროცესში იყოს მრავალფეროვანი მეთოდები (მაგალითად, სინთეზისა და ანალიზის, სოკრატესეული) გამოყენებული.
7. სასურველია განმავითარებელი შეფასებების გამოყენება.

8. სასურველია პროგრამაში სიახლეებისა და მნიშვნელოვანი მიღწევების გაზიარების მიზნით, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახალგაზრდა კადრების მოზიდვა;
9. კარგი იქნება, აკადემიური პერსონალის მეტი ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში.
10. უნივერსიტეტმა დანერგოს და აამოქმედოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი აქტივობების წახალისების მექანიზმები სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით;
11. კარგი იქნება სწავლების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით ტრენინგების რეგულარულად ჩატარების გაგრძელება აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის;
12. სასურველია, უნივერსიტეტს ჰქონდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ის საერთო სტანდარტი შემუშავებული მათი სამეცნიერო-კვლევითი აქტივობებისა და პედაგოგიური საქმიანობის შესახებ უფრო სრული წარმოდგენის შესაქმნელად.
13. დარგობრივი ლაბორატორიების ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება;
14. სასურველია პროგრამის სტუდენტებს ქონდეთ ექსპერიმენტულ ცხოველებზე კვლევების ჩატარების შესაძლებლობა;
15. სასურველია დისტანციურ სწავლებაში მუდლის ან სხვა მსგავსი პლატფორმის ჩართვა; სწავლებისთვის აუცილებელი ონლაინ პლატფორმის (მაგ. ზუმის) უწყვეტად სარგებლობის უზრუნველყოფა.
16. სასურველია, გაფართოვდეს გარე შეფასების მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის გაძლიერებას.
17. სტუდენტების მიერ სასწავლო კურსის შეფასების კითხვარების დახვეწა;
18. სასურველია, პროგრამაში ცვლილებების/სხვა აქტივობების განხორციელების პროცედურების თაობაზე აკადემიური პერსონალი უფრო სრულყოფილად იქნეს ინფორმირებული.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

1. **მეორე საკითხი:** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საქართველოს მთავრობის 2011 წლის 25 ნოემბერი №348 გადაწყვეტილება აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება აკრედიტაციის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილება №1881 აკრედიტაციი ვადების განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 220 წლის 13 მაისის №808 პროგრამების აკრედიტაციის ვადის გახანგრძლივების შესახებ.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფიზიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების I საფეხური, ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0533 - ფიზიკა
12	კვალიფიკაციის კოდი	-
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	6010, საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32 უნივერსიტეტის II კორპუსი, II სართული
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა გაიოზ ფარცხალაძემ,

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მარიკა ტატიშილმა აღნიშნა, რომ როგორც უნივერსიტეტი, ასევე ფაკულტეტი მოწესრიგებული იყო. ექსპერტმა ასევე განსაკუთრებით პოზიტიურად შეაფასა ზოგადი ფიზიკის ლაბორატორიები, რომლებიც მოწესრიგებული და მომზადებული იყო სასწავლო პროცესისათვის. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ლაბორატორიულ მუშაობაში, მნიშვნელოვანი იყო თითოეულ ლაბორატორიულ სამუშაოს ჰქონდეს შესაბამისი მითითებები, თავისი ამოცანის აღწერილობა და თუ როგორ უნდა შესრულდეს ის, რაც დაწესებულებას ჰქონდა. ასევე, ექსპერტმა მნიშნელოვნად შეაფასა, ერთ-ერთი სტუდენტის მიერ განხორციელებული პროექტი „ფუკოს ქანქარა“, რომელიც, ექსპერტის თქმით შესაძლოა საქართველოს არცერთ უნივერსიტეტში არ ყოფილიყო მოქმედ მდგომარეობაში. აღნიშნული მოქმედი ქანქარა დამონტაჟდა უნივერსიტეტის მე-2 კორპუსში, რაც ხელსააყრელი იყო მათვის, რადგან არსებობდა ასეთი „ფუკოს ქანქარას“ ქსელი და შესაძლებლობას აძლევდა მათ ჩართულიყვნენ ამ ქსელში. ეს ასევე კარგი შანსი იყო პოპულარიზაციისათვის, რათა მოეზიდათ უფრო მეტი სტუდენტი და შემდეგ ასევე შესაძლებლობდა ჰქონოდათ დაენერგათ უცხოენოვანი პროგრამა. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ პანდემიასთან დაკავშრებით, როდესაც ინსტიტუცია გადავიდა ონლაინ სწავლებაზე, უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა შეძლეს შეექმნათ ონლაინ პლატფორმა ლაბორატორიული სამუშაოებისათვის, რაც სტუდენტებისათვის ხელსაყრელი იქნებოდა, რადგან მისცემდა საშუალებას ონლაინ მიეღოთ მონაწილეობა ლაბორატორიული სამუშაოების შესრულებაში და თავად შეეცვალათ პარამეტრები.
ექსპერტმა ისაუბრა რეკომენდაციებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია შეეხებოდა მოძველებულ ლიტერატურას, რომელიც არა მხოლოდ აღნიშნული უნივერსიტეტის პრობლემაა, არამედ თითქმის ყველა უნივერსიტეტის.მოძველებული ლიტერატურის ჩანაცვლება თანამედროვე ანალოგებით აუცილებელი იყო,რადგან ძველი ლიტერატურა, რაც არ უნდა კარგი ყოფილიყო დროთა განმავლობაში განახლება აუცილებლად სჭირდებოდა. მან განმარტა, რომ ეს არის საერთო პრობლემა, რომელიც ერთიანი ძალისხმევით უნდა ყოფილიყო გადაჭრილი.. ექსპერტმა, ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა ბაკალავრიატია და ეს არის ზოგადი კურსი, ამიტომ წარმოდგენილი საგნები უნდა იყოს შესავალი სხვადასხვა დისციპლინებში ან მოკლე კურსი, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ უმჯობესი იქნებოდა, მაგალითად კურსი „ოპტიკა“ შეიცვალოს „ოპტიკის შესავალი“-თ. აღნიშნულზეინსტიტუციის წარმომადგენლების პოზიცია იყო, რომ შემდგომ გაგრძელება არ ჰქონდა ამ პროგრამას, თუმცა თუ ექნებოდა გაგრძელება ეს უკვე შესაცვლელი იქნებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „ოპტიკა“ შესავალი კურსი იყო, რომელიც

მთლიანად ოპტიკას არ მოიცავდა, ამიტომ უმჯობესი იქნებოდა თუ გადაარქმევდნენ სახელს და „ოპტიკის შესავალს“ ან „მცირე კურსს ოპტიკაში“ დაარქმევდნენრაც ადვილად მოსაგვარებელი პრობლემა იყო.

ასევე პროგრამაში ისეთი საგნები იყო შემოტანილი, რომლებიც განახლებას საჭიროებდნენ.ეს შეეხებოდა ნანოტექნოლოგიებს, რადიაციულ უსაფრთხოებას, ბირთვულ სამედიცინო სფეროს. მოცემულ სფეროებში ბოლო პერიოდში დიდი მიღწევები იყო და მუდმივად მოითხოვდა შევსებას და განახლებას, რაც ჩეულებრივი მოვლენა და დინამიური პროცესი უნდა ყოფილიყო. ექსპერტმა ასევე დადებითად შეაფასა, ინსტიტუციის წარმომადგენლების ხელშეწყობა პროგრამის განვითარებისათვის, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ სტუდენტების მოზიდვის მიზნით, პერსონალი ატარებდა საზაფხულო სკოლებს, საზაფხულო ლექციებს აჭარის მაღალმთიან რეგიონებში, რაც ძალიან კარგი პრაქტიკად შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნუგზარ ღომიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა საქმიანი და პრაგმატული წინადადებები, ეხმარებოდა მათ პროგრამის განვითარების პროცესში. რაც შეეხებოდა პირველ რეკომენდაციას „რეკომენდირებულია თანამედროვე ლიტერატურის გამოყენება სასწავლო კურსებში“, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, აღნიშნული არამხოლოდ, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრობლემა იყო, არამედ საერთო პრობლემას წარმოადგენდა. პროგრამის განმხორციელებელი ჯგუფი ხელმძღვანელობდა პრინციპით, რომ საბაკალავრო საფეხურზე, სტუდენტებისათვის სილაბუსებში მითითებულიყო უპირველეს ყოვლისა ქართულენოვანი ლიტერატურა, მათ შორის თარგმნილი საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში. პარალელურ რეჟიმში შეიქმნა სახელმძღვანელოები „მექანიკა“, „მოლეკულური ფიზიკა“, რომელიც ერთობლივი სახელმძღვანელო იყო ბათუმის უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორებთან ერთად. ფიზიკის შესავალი კურსის თვალსაზრისით ჰქონდათსახელმძღვანელო „ფიზიკა“. ასევე „ფიზიკური პროცესების მოდელირება“, რომელიც დამტკიცებული იყო აკადემიური საბჭოს მიერ. ასევე, „ელექტრომაგნეტიზმის“ სახელმძღვანენლო, რომელიც ასევე დამტკიცდა აკადემიური საბჭოს მიერ და გამოცემის რეჟიმში იყო. გარდა ამისა დაწესებულებას მზადჰქონდა რამოდენიმე სასწავლო კურსი, რომელიცლის სახელმძღვანელოდ ჩამოყალიბებდებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისეთი სენსიტიური მიმართულებებით, როგორიც იყო რადიაციული უსაფრთხოება და დოზიმეტრია, ისინი ცდილობდნენ ახალი ინფორმაცია ყოფილიყო კონცენტრირებული მასში, რაც სტუდენტებს ძალიან მოეწონათ, რადგან ეს კურსი წინა სემესტრში ჰქონდათ გავლილი. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ასევე სახელმძღვანელოს სტილში დამუშავდებოდა და შეიქმნებოდა რადიოფიზიკა. სამედიცინო ფიზიკა ბიოფიზიკით უკვე აპრობირებული იყო და კარგად მორგებული გახლდათ სალექციო კურსის სილაბუსთან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი ცდილობდა შეექმნაისეთი სახელმძღვანელოები, რომლებიც კარგად იქნებოდა მორგებული სასწავლო პროცესზე. სასწავლო კურსი მოიცავდა სალექციო, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მიმართულებას, ამდენად არსებობდა უამრავი სახელმძღვანელო თუმცა საბაკალავრო საფეხურზე. დაწესებულების წარმომადგენლები ცდილობდნენ რომ სტუდენტისთვის მიეწოდებინათპირველ რიგში ქართულენოვანი, მათთვის ხელმისაწვდომი სახელმძრავნელო და რაც მთავრაია კარგად მორგებული სასწავლო პროცესი. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსი „ოპტიკა“ იყო ზოგადი ფიზიკის კურსი, ისევე როგორც „მექანიკა“, „მოლეკულური ფიზიკა“, „ელექტრო მაგნეტიზი“. „ოპტიკაც“ შესაბამისად გახლდათ ზოგადი ფიზიკის კურსი და როგორც ყველა, სხვა უმაღლეს სასწავლებლებში აღნიშნული სასწავლო კურსიც ასევე ისწავლებოდა ამავე სახელწოდებით. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ როდესაც

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაისვა ეს საკითხი, მათ განიხილეს და იმის გათვალისწინებით, რამდენად რთული იყო აკრედიტაციის პროცესი, შინაარსობრივ ნაწილში გაიპარა რიგი უზუსტობები ძველი სილაბუსის სახით, რომელიც გამოსწორებული იყო და განახლებული ვერსიის მოწოდება უკვე შეეძლოთ დაწესეულების წარმომადგენლებს. შენიშვნის დაფიქსირების მომენტში, მოხდა ჩანაცვლება და აქედან გამომდინარე მისი სახელწოდების ცვლილება დაწესებულების წარმომადგენლებს არ მიაჩნდათ მიზანშეწონილად. სასწავლო კურსი „ოპტიკა“ მიზნად ისახავდა სტუდენტებისათვის ესწავლებინა: სინათლის ბუნება, სინათლის გავრცელებისა და ნივთიერებასთან ურთიერთქმედების კანონები და კანონზომიერებები; ძირითადი ოპტიკური მოვლენები, მათზე დაკვირვების მეთოდები და ოპტიკური ხელსაწყოები,ლაბორატორიული უნარჩევების ათვისება ოპტიკაში.დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ინსტიტუციას ჰქონდა ოპტიკის ლაბორატორია, რომელიც კურის ფარგლებში ხორციელდებოდა და ოპტიკას ჰქონდა ბევრი მიმართულება:არაწრფივი ოპტიკა, კვანტური ოპტიკა, რელატივისტური ოპტიკა, თუმცა საგნისშესწავლა ხდებოდა განმტკიცების დონეზე და არა გაღრმავების დონეზე და ზოგადი ფიზიკის კურსის ნაწილის წარმოადგენდა. დაწესებულების წარმომადგენელმა, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, რადგან აღნიშნული იყო პრაგმატული რეკომენდაცია. მან დაამატა, რომ რეალიტვისტური ოპტიკის ნაწილი ინტეგრირებული იყო ველის თეორიაში. კვანტური ოპტიკის ნაწილი საბკალავრო საფეხურზე არ ისწავლებოდა, რადგან სამაგისტრო საფეხურის იყო. პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ ოპტიკის მიმართულებით მათ ჰქონდათ მიღწევები, მაგლითად, ოპტიკურ სპექტროსკოპიას და ფლუორესცენციაში რამოდენიმე საგრანტო პროექტი ჰქონდათ მოპოვებული რუსთავის ეროვნული პროექტის ფარგლებში, გამოცემული იყო ასევე სტატიები. აქედან გამომდინარე,დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს არ იყო მიზანმიმართულად დასუსტებული საგანი.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა გიორგი დალაქიშილმა დაამატა, რომ გამოიკვეთა ისე, თითქოს დაწესებულების წარმომადგენელი არ ეთანხმებოდა რეკომენდაციას, თუმცა სინამდვილეში მან სწორად ახსენა საკვანძო სიტყვა, რომ ეს გახლდათ ზოგადი ფიზიკის კურსი და ამიტომ ამასთან დაკავშირებით პრობლემა არ იყო, თუ სტუდენტი მიხვდებოდა და მას აუხსნიდნენ რომ ეს იყო ზოგადი ფიზიკის კურსი და ერქვა ოპტიკა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ რადგან არსებობდა თეორიული მექანიაკდა ზოგადი მექანიკა, სახელი ერთნაირი იყო, თუმცა სწავლების მეთოდიკა და მასალის გადაცემა სხვადასხვანაირი. ასევე, ექსპერტი დაეთანხმა ლიტერატურასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლის პოზიციას და დააფიქსირა, რომდაწესებულების წარმომადგენლებს შეუძლიათახალი ლიტერატურა კი არ შეიძინონ, არამედსასწავლო მასალებში ატვირთონ „რიდერის“ მსგავსი ან „პრეზენტაციები“ რაც ასევე განახლებად ჩაითვლებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნუგზარ ღომიძემ ისაუბრა მესამე რეკომენდაციაზე და აღნიშნა, რომ ინსტიტუციის წარმომადგენლები დაეთანხმნენ და ეცადნენ მაქსიმალურად განახლებული და ინტეგრირებული ინფორმაცია ყოფილიყო პროგრამაში, მაგრამ. მან ასევე აღნიშნა, რომ ეს იყო ფიზიკის პროგრამა, რომელსაც კვალიფიკაცია ჰქონდა ფიზიკის ბაკლავრი და ამავდროულად იყო მცდელობა რომ არ მიიჩქმალოს ფუნდამენტური ცოდნა, რაც აუცილებელია მიიღოს ფიზიკის ბაკლავრმა. მან აღნიშნა, რომ ფიზიკას ჰქონდა ბევრი შვილობილი დარგი, იგივე ტელეკომუნიკაცია, ელექტრონიკა, რომლებიც თანამედროვე გახლდათ, თუმცა საყურადღებო იყო ის, რომ პროგრამის დარგი იყო ფიზიკა და სიახლეებთან ერთად ფუნდამენტურ თეორიეებსაც ჰქონდა პრინციპული მნიშვნელობა, რომ სტუდენტისთვის მიწოდებული ყოფილიყო სათანადო დონეზე. მან დასძინა, რომსილაბუსი ცოცხალი ორგანიზმი იყო და ის მეტნაკლები ინტენსივობით ითვალისწინებდა კლასიკურ ფუნდამენტურ უახლოეს საკითხებს და აკადემიური თავისუფლების ფარგლებში ხორციელდებოდა დარგის უახლესი საკითხების ასახვა ისე, რომ არ დაკნინებულიყო ფუნდამენტური მიმართულებები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, სასწავლო პროცესთან ერთად ლიტერატურის დამუშავება ძალიან რთული იყო. ის ლიტერატურა,

რომელიც იყო დამუშავებას მოითხოვდა. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენელმა ნუგზარ ღომიძემ მოითხოვა ერთ წლიანი მიზნობრივი აკადემიური შვებულება, რომელიც ითვალისწინებდა რამოდენიმე სახელმძღვანელოს გადამუშავებას. დაწესებულების წარმომადგენლის პოზიციაა, რომ თუ ამ ტემპით გაგრძელებდა აკადემიური პერსონალი, ისინი შეძლებდნენ კარგი მორგებული სახელმძღვანელოს და სალექციო კურსების შექმნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა რეკომენდაციასთან დაკავშირებით, შეიცვალა სილაბუსი. მას აინტერესებდა, ეს სილაბუსი ვიზიტის დროს შეიცვალა თუ ვიზიტის შემდგომ? თუკი ეს შეიცვალა ვიზიტის დროს, ამ შემთხვევაში ექსპერტებს ეს არ უნდა დაეწერათ დასკვნაში, ხოლო თუ ეს შეიცვალა ვიზიტის შემდგომ ამას ვერ განიხილავდა საბჭო და უცვლელად დარჩებოდა რეკომენდაცია. ინსტიტუცია დაეთანხმა ამ რეკომენდაციას და აღნიშნა, რომ ყველაფერს დაარეგულირებდნენ,თუმცა, სამართლებრივად ეს უნდა ყოფილიყო გასწორებული. საბჭოს წევრმა ასევე დადებითად შეფასა 327 დამსაქმებელი და პოტენციური დამსაქმებელი გამოკითხა ინსტიტუციამ, რაც ნიშნავდა იმას, რომ რაოდენობა აუცილებლად გადავიდოდა ხარისხში, თუმცა, საბჭოს წევრმა დაამატა, რომ სიაში ნახა 32. ამასთან დაკავშირებით საინტერესო იქნებოდა დაამტებითი ინფორმაცია. ასევე, საბჭოს წევრმა დაამატა, რომწარმოდგენილი იყო პროგრამული ბიუჯეტი, თუმცა გაუგებარი გახლდათზედნადები ხარჯების მეთოდოლოგიური საფუძველი, რა ხარჯები იყო აღნიშნული და რას ემსახურებოდა. შემოსავალი ხარჯს ფარავდა, პროგრამა ამ კუთხით მდგარდი იყო, თუმცა ზედნადები ხარჯები უნდა წარმოედგინათ გახსნილად, რათა იყოს შესაძლებელი ყოფილიყოპროგრამის განვითარების მომავალლის შეფასება..

საბჭოს წევრმა, აღნიშნა რომ მიესალმება ისეთ საბუნებისმეტყველო დარგში, როგორიც გახლდათ ფიზიკა ლაბორატორიული მეცადინეობების ასე კარგად წარმოდგენას.

სხდომის თავმჯდომარემ ნინო იმნაძემ, ექსპერტთა ჯგუფს სთოხვა დაეზუსტებინათ 2.3 ქვესტანდარტთან მიმართებაში, სადაც რეკოემნდაციაში ეწერა, რომ „რეკომენდირებულია სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძვნებული იყოსა დარგის სიახლეებზე, რათა უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა“ ეს შეეხებოდა, რომელიმე ერთ სილაბუსს თუ რამოდენიმე სილაბუსს, რადგან ექსპერტთა თავმჯდომარემ ჩამოთვალა რამოდენიმე საგანი, რომელიც არ ფიგურირებდარეკომენდაციაში. გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული საკითხის დაზუსტება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშა, რომ შემოიტანილი ჰქონდათ ისეთი თანამედროვე საკითხები, როგორიც იყო ბირთვული უსაფრთხოება, რადიაციული უსაფრთოება, ნანო ტექნოლოგიები. შემოტანილი იყო თანამედროვე დისციპლინები. იმისათვის რომ სტუდენტისთვის საინტერესო ყოფილიყო, არ მოითხოვებოდა ღრმა თეორიების დამტკიცება. შესაძლებელი იყო გამოეყენებინათ გამოქვეყნებული სტატიები. ეს შეეხებოდა კონკრეტულ საგნებს.

დაწესებულელების წარმომადგენელმა, ირაკლი კორძაიამ აღნიშნა, რომ როდესაც ინსტიტუცია აგზავნიდა კონკრეტულად პროგრამის ბიუჯეტს, ამასთანავე ყოველთვის დადასტურებებში იყო ცენტრალიზებული ბიუჯეტი.ის ძირითადი ხარჯები, რომელიც წარმოდგენილი იყო ზედნადების გარდა, გახლდათ ხელფასებზე გაწერილი. ზედნადები ხარჯი უშუალოდ სწორედ იმ ადმინისტრაციული და ლაბორატორიების შეძენისთვის იყო, ასევე მივლინებებსითვის, პროფესიული განვითრებისთვის, რომლის აკუმულირება ხდებოდა ცენტრალური ბიუჯეტში და ცალკე გაწერილი გადამზადების კურსებისთვის 100 000 ლარი, 340 000 ლარი - სამივლინებო ხარჯები. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ ექსპერტებიც ეთანხმებიან იმ ფაქტს, თუ რამდენი ხარჯი აქვს ინსტიტუციას გაწეული მხარდაჭერის თვალსაზრისით ლაბორატორიის შეძენასა და განახლებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელები და პროგრამის განმახორციებელი პირები მუშაობდნენ და დიდი გრანტები

ჰქონდათ მოპოვებული, რითიც ავსებდნენ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რომელიც ეხმარებოდაპროგრამას შეენარჩუნებინა ფინანსური მდგრადობა აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნუგზარ ღომიძემ განმარტა, რომ სილაბუსის ცვლილება არ მომხდარა ვიზიტის დროს. ცლილება შეეხებოდა არა სილაბუსის ძირითად კომპონენტებს, არამედ შინაარსს. დაიხვეწა შინაარსობრივი და ლიტერატურული საკითხი. დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე აღნიშნა, რომ ფიზიკის პროგრამაზე აბიტურიენტების მოწვევა წარმოადგენდა ზოგად პრობლემას. აქედან გამომდინარე შრომის ბაზრის კვლევა დაწყებული იყო დიდი ხნით ადრე და ძირითადად წარმოდგენილ რაოდენობაში იყო საჯარო სკოლები, მაღალმთიანი სკოლები, სადაც მოღვაწეობდნენ პროგრამის კურსდამთავრებულები. რაც შეეხებოდა რაოდენობას,დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ზუსტი რაოდენობა არ ახსოვს, თუმცა 100-ზე მეტია, საიდანაც ძირითად ნაწილს წარმოადგენდა საჯარო სკოლები. ასევე პროგრამის წარმომადგენლებმა შეძლეს აეთვისებინათ სამედიცინო დაწესებულებები. ბათუმის და აჭარის მახლობლად არსებული სამედიცინო დაწესებულებშ ყველგან იყვნენ პროგრამის კურსდამთავრებულები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:05
დასრულების დრო: 16:29

16:29 საათზე, საბჭოს შემოუერთდა ნინო ინასარიძე.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვისაკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წლის წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

1. რეკომენდირებულია მკაფიოდ გაიწეროს სწავლის შედეგები მათი გაზომვადობის და შეფასების მიზნით;
2. რეკომენდირებულია თანამედროვე ლიტერატურის გამოყენება სასწავლო კურსებში.
3. რეკომენდირებულია ზოგიერთ სილაბუსში (იხ.დასკვნა გვ.16-17) მითითებული სასწავლო მასალა დაფუძვნებული იყოს დარგის სიახლეებზე, რათა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა.

რჩევები ფორმულირდეს შემდეგი სახით:

1. სასურველია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის შემდგომი გაუმჯობესება;
2. სასურველია კურსი „ოპტიკა“ შეიცვალოს „ოპტიკის შესავალი“-თ, რაც უფრო ცხადად წარმოაჩენს საგანთან გაცნობის და ცოდნის დონეს.
3. სასურველია, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს დარგობრივი/პროფესიული უცხო ენის სასწავლო კომპონენტი.

4. „ფიზიკური პროცესების მოდელირება“ სასურველია გადავიდეს მომდევნო სემესტრში და დაედოს წინაპირობა „საინფორმაციო ტენოლოგიები“
5. სასურველია სავალდებულო ლიტერატურას დაემატოს თანამედროვე უცხოური გამოცემების კვალიფიციური თარგმანები, თანაც უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ამის შესრულებას.
6. სასურველია წარმოდგენილი იყოს სრული პროგრამული ბიუჯეტი დაწესებულების საერთი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების მითითებით.
7. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა რეგულარულად გამოიყენოს პროგრამის გარე შეფასების ისეთი მექანიზმი, როგორიცაა გარე ექსპერტიზა (განმავითარებელი შეფასება, კოლეგიალური შეფასება და სხვ.)
8. პროგრამის განვითარების მიზნებისათვის მიზანშეწონილია დაწესებულებამ უზრუნველყოს პერიოდულად განმავითარებელი შეფასება.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

1. **მესამე საკითხი:** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გეოგრაფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გეოგრაფია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება № 345 2011 წელი, 25 ნოემბერი ქ. თბილისი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	გეოგრაფია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	გეოგრაფიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები 0553
12	კვალიფიკაციის კოდი	-
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240 ECTS
15	განხორციელების ადგილი	ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქუჩა № 32/35 6010, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა გაიოზ ფარცხალაძემ,
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.
სხდომას შემოუერთდა ნინო ჭალაგანიძე.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მალხაზ ღვინჯილიამ აღნიშნა, რომ ვიზიტი საინტერესოდ და კონსტრუქციულად წარიმართა. ყველა სჭირო მასალა, რომელიც სჭირდებოდა ექსპერტთა ჯგუფს ოპერატიულად იქნა მოწოდებული ინსტიტუციის წარმომადგენლების მიერ. ექსპერტმა ისაუბრა პროგრამის ძლიერ მხარეებზე და განმარტა, რომ ვიზიტის შედეგებმა დაადგინა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ხარისხის უზურნველყოფის სამსახური, ფაკულტეტი და პროგრამა თავისი აკადემიური და მოწვეული პერსონალით, სტრუქტურულ ჰარმონიაში იყო ერთმანეთთან, რაც გამოვლინდა თითოეულ მათგანთან დასმული კითხვებით და შესაბამისი შედეგებით. პროგრამა თავისი ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს და განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის სტანდარტებით გახლდათ შედგენილი და სრულად პასუხობდა

მოთხოვნებს. ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ პროგრამის მნიშნელოვანი ძლიერი მხარე იყო ლექტორთა მაღალი კვალიფიკაცია, რომელიც უშუალოდ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნების შესაბამისად იყო უზრუნველყოფილი. მან აღნიშნა, უნივერსიტეტში მოცემულობაა, რომ აკადემიურ თანამდებობაზე არ ირჩევენ პირს, რომელსაც მინიმუმ ერთი უცხოეთში ცნობად, მაღალ ინდექსირებად ჟურნალში არ აქვს გამოცემული სამეცნიერო ნაშრომი და პლიუს ამას კვალიფიკაციას უზრუნველყოფს ის, რომ უნივერსიტეტიდან მხარდაჭერილია სწორედ ამ საერთაშორისო გამოცემებში მათ მიერ კვლევების გამოქვეყნება, რადგან საუნივერსიტეტო ბიუჯეტში იყო გათვალისწინებული თანხა 2000 ლარის ფარგლებში. ინსტიტუცია ამას უზრუნველყოფდა რამოდენიმეჯერ. მან ისაუბრა, რომ პროგრამას გააჩნია რეგიონალური საველე ზონალური პრაქტიკა მეზობელ სახელმწიფოში სომხეთში, რაც ასევე დადასტურდა გამოკითხვის შედეგად. ასევე, ლინგვა უნარების გაძლიერების მიზნით ინსტიტუცია უზრუნველყოფდა მცირედი თანადაფინანსების პირობებში, ლექტორთა ინგლისური ენის კვალიფიკაციის ამაღლებას. ბიბლიოთეკის ფონდი არამხოლოდ ადგილობრივი წიგნებით გახლდათ უზრუნველყოფილი, არამედ საერთაშორისო ქსელში იყო ჩართული. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასამახსოვრებელი იყო პორტალი apa.bsu.edu.ge. სადაც, არის მაღალი დონის სერვისები, როდესაც სტუდენტს შეუძლია თვითონ დამოუკიდებლად ნახოს, მისთვის საჭირო ინფორმაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე, მისი თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, თუ რამდენი აქვს ქულა, ჯიპიაი და ა.შ.

რაც შეეხება რეკომენდაციებს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი იყო 3 რეკომენდაცია. პირველი რეკომენდაცია 2.3 სტანდარტთან იყო დაკავშირებული, რაზეც ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობდა, რომ სასწავლო კურსებში პრაქტიკული კომპონენტის თემატიკა დეტალურად უნდა ყოფილიყო გაწერილი. ინსტიტუციას ჰქონდა არაჩვეულებრივი პორტალი, სადაც ლექტორები წინასწარ აწვდიდნენინფორმაციას სტუდენტებს იმ პრაქტიკულ კომპონენტთან დაკავშირებით, რაც მას სჭირდებოდათ, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით ეს ყველაფერი სილაბუსშიც უნდა ყოფილიყო გაწერილი. სილაბუსში ეწერა, რომ არის თემატიკა მაგრამ პრაქტიკულებში რაც იყო პორტალზე, ისიც ანალოგიურად უნდა ყოფილიყო გადმოტანილი. მეორე რეკომენდაციას, ექსპერტის თქმით წარმოადგენდა მექანიკურ საკითხს „სასწავლო კურსში - მეტეოროლოგია კლიმატოლოგია 30 წლის წინანდელი ლიტერატურა ძირითად ლიტერატურაში არ იყოს წარმოდგენილი“ თუმცა მათ ჰქონდათ თანამედროვე სახელმძღვანელოც და აღნიშნული ძველი სახელმძღვანელო ზედმეტი იყო, მიუხედავად იმისა, რომ კლიმატოლოგია ძალიან ძველი მეცნიერებაა და არისტოტელეს დროიდან მოდიოდა, კლასიკური იყოთუმცა, მაინც არსებობდა თანამედროვე ლიტერატურა. ხოლო მესამე რეკომენდაცია შეეხებოდა 2.6 სტანდარტს, „აუცილებელია ყველა სილაბუსში თითოეული შეფასება დეტალურად იყოს ჩაშლილი თითოეული ქულის დონეზე, რაც სტუდენტთა შეფასებას უფრო ეფექტურს გახდის“ - მიუხედავად იმისა. რომ ამ შემთხვევაში ბიჯები მაღალი არ ჰქონდათ და მაქსიმალური ბიჯი 3 ქულა იყო, ექსპერტების მოსაზრებით ის 3 ქულაც უნდა ყოფილიყო ჩაშლილი, რასთან დაკავშირებითაც 2-ს დასთანხმდნენ დაწესებულების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანთაზ ქიქავამ აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები იზიარებდნენ ორ რეკომენდაციას, ხოლო პირველრეკომენდაციასთან დაკავშრებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში პრაქტიკული კომპონენტის თემატიკა გაწერილი იყო, თუმცა დეტალურად მისი გაწერა ხდებოდაელექტრონულ პლატფორმაზე და სტუდენტურ პორტალზე იყო ჩაშლილი და დაკონკრეტებული სახით. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პრაქტიკულ ნაწილს ლექცია უნდა უსწრებდეს წინა, ლექციის თემატიკიდან გამოდის პრაქტიკული. მან აღნიშნა, რომ ლექტორი არამხოლოდ მონოტონურად კითხულობდა ლექცია,

არამედ შემოქმედებით საქმიანობასაც ეწეოდა და ამისათვის ლექტორი უნდა ყოფილიყო თავისუფალი. თუ ის იქნებოდა შეზღუდული მაშინ ვერ შეძლებდა რომ ლექცია ყოფილიყო უფრო საინტერესო. დაწესებულების წარმომადგენელმა საკუთარ მაგალითზე ისაუბრა,რომ როდესაც ის შედიოდა ლექციაზე, ფლობდაუდიტორიას და ხვდებოდა თუ რომელი სტუდენტი იგებდა უფრო კარგად ლექციას, რომელ საკითხი ესმოდა უფრო ღრმად, რომელი იყო მისთვის უფრო საინტერესო და აქედან გამომდინარე ახდენდა პრაქტიკულზე კონსტანტირებას, თუ რომელ საკითზე გაემახვილებინა უფრო მეტად ყურადღება. მაგალითად ლექტორი კითხულობდა „მინერალოგია-პეტროგრაფიის“ საგანს, საიდანაც კარბონატების თემის აღებისას, კარბონატები იყოფა შემდგომ წყლიან კარბონატებად, უწყლო კარბონატებად, კალციდის რიგი, არაბონიდის რიგი, ხოლო თუ ლექტორს წინასწარ ექნებოდაჩაშლილი, რომ პრაქტიკულზე კალციდის რიგზე გაემახვილებინა ყურადღება, სხვა დანარჩენ საკითებზე ვეღარ გაამახვილებდა ყურადღებას. მთელი შემოქმედება იქნებოდა შეზღუდული და ლექტორი ვერ შეძლებდაუფრო ვრცლად აეხსნა და პრაქტიკული უნარჩვევები ჩამოეყალიბებინა სტუდენტებისათვის, რადგან თუ მთლიანობაში განიხილავდა ლექტორი კარბონატების მინერალებს, მოცეულობით იმხელა მასალა იყო, რომ ორ საათში ლექტორი ვერ მოახერხებდა მთლიანად ამ საკითხის ახსნას,

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ თუ რატომ იყო რიგობრივი განსხვავება „ფიზიკის“ და „გეოგრაფიის“ საბაკლავრო პროგრამებში დამსაქმებელთა წარმოდგენილ რაოდენობას შორის. თუ „გეოგრაფიის“ საბაკლავრო პროგრამის შემთხვევაში შრომის ბაზრის კვლევა სხვა მეთოდოლოგიით ჩატარდა, ესეც რომ დაადასტუროს დაწესებულების წარმომადგენელმა. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა პროგრამის ბიუჯეტთან დაკავშირებით.

საბჭს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ დღევანდელი მცირე ეკონომიკური წინსვლები, მიუთითებდა იმას, რომ ეს პროფესია იმ ბაზარზე ძალიან საინტერესო იყოგეოლოგიასთან ერთად. ამ მხრივ თუ შეინიშნებოდა სხვადასხვა დამკვეთების დაინტერესება პროგრამის მიმართ და თუ იყვნენ დასაქმებულები ამ კუთხით.

საბჭოს წევრმა თეონა მატარიძემ კითხვით მიმართა იქნსტიტუციის წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ რადგან საბაკალვრო ნაშრომი იყო გათვალისწინებული პროგრამაში,რომელი საგნებით ხდებოდა კვლევითი კომპონენტის დაფარვა?

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირაკლი კორძაიამ ბიუჯეტთან დაკავშრებით აღნიშნა, რომ ექპერტებმა რეალურად ნახეს მატერალურ-ტექნიკური ბაზა და ლაბორატორიები, რომლებიც ინსტიტუციის მხრიდან იქნა მხარდაჭერილი და ეს იყო ცენტრალიზებულ ბიუჯეტში წარმოდგენილი. მან, ამასთან დაკავშირებით ასევე განმარტა, რომ დაწესებულების წარმომდგენლის პოზიცია იგვეა, რაც „ფიზიკის“ საბაკლავრო პროგრამის შემთხვევაში იყო. ასევე შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია უცვლელი გახლდათ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიდგომები ბაზრის კვლევასთან მიმართებაში არის სრულიად თავისუფალი და დამოუკიდებელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თეა ქოიავამ, ისაუბრა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ გამოიკითხნენ პოტენციური დამსაქმებლები, სადაც იყვნენ არა მხოლოდ სკოლები, არამედ ის ორგანიზაციები, რომლებშიც არიან დასაქმებულები პროგრამის კურსდამთავრებულები. გარემოს დაცვითი სამმართველოს სტრუქტურული ერთეულების მოთხოვნით იყო პროგრამაში „გეოინფორმაციული სისტემები -GIS „ სასწავლო კურსის დამატება, რადგან მათ სჭირდებოდათ სპეციალისტები და სწორედ მათი მოთხოვნით მოხდა კონკრეტული სტუდენტების გადამზადება და დღეს ისინი ინსტიტუციას დაუბრუნდნენ, როგორც სპეციალისტები და ხდებოდა სასწავლო კურსის ფარგლებში ამ კურის წაყვანა მათ მიერ. წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომი მცირედი სახით მოიცავდა კვლევით კომპონენტს სამაგისტროსთან შედარებით, შესაბამისად, სტუდენტებს აქვთ არჩევანის

საშუალება საბკალავროს ნაცვლად აირჩიონ რეპეტიტორიუმი გეოგრაფიაში, რომელიც მოიცავს კრეფსით, სასწავლო კურსებს, ძირითადი სწავლის სფეროს ძირითადი სასწავლო კურსებიდან.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინა ქორიძემ აღნიშნა, რომ „ფიზიკის“ პროგრამა წარმოდგენილი იყო, როგორც ზუსტმეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი, ხოლო „გეოგრაფიის“ საბაკლავრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი დამსაქმებელი სკოლა არ იყო, რადგან სკოლაში დასაქმების უფლება ჰქონდათ საბაკლავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს, თუ ისინი აირჩევდნენ მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამას, რომელიც განათლების პროგრამაზე იყო.. „გეოგრაფიის“ პროგრამის შემთვევაში აქცენტი გაკეთებული იყო ძრითად დამსაქმებლებზე. ძირითადად პროგრამის სტუდენტების დასაქმების მოთხოვნა ამ მიმართულებით იყო, ამითომ უმეტესად გამოიკითხნენ ძირითადი დამსაქმებლები.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, სოფო უგრეხელიძემ აღნიშნა, რომ ჩართული იყო როგორც ექსპერტი „ფიზიკის“ საბაკლავრო და „გეოგრაფიის“ საბაკლავრო პროგრამაზე. როდესაც ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა ინტერვიუ დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან, გამოიკვეთა, რომ „ფიზიკის“ პროგრამის შინაარსობრივი მიზნებისთვის, აქტიურად თანამშრომლობდნენ საჯარო სკოლებთან, არამხოლოდ აბიტურიენტების ნაწილში. შინაარსობრივ ნაწილში პროგრამის განვითარება, სკოლებთან შეთანხმებით ძალიან აქტიურად ხდებოდა. განსხვავებით „გეოგრაფიის“ პროგრამისგან, როგორც ეს დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა. ექსპერტის მოსაზრებით, გამოკითხვის ნაწილში, ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც დამსაქმებლებს შორის ასეთი რადიკალური სხვაობა შეინიშნებოდა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯომარემ აღნიშნა, რომ ყველაზე დიდი ლაკმუსი არის სტუდენტი და კურსდამთავრებული. კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებისას, ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ მიიღეს გამაოგნებელი შედეგი, რადგან ისინი დიდი სიყვარულით, სითბოთი და სპეციალობისთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიებით საუბროდბნენ. ექსპერტები აღფრთოვანეულები დარჩნენ იმ პროდუქტით, რომელმაც უკუკავშირი აჩვენა საუბარში.
საბჭოს წევრი, დიანა მჭედლიშვილი დაინტერესდა 2.3 პუნქტის მეორე რეკომენდაციით, „სასწავლო კურსში - მეტეოროლოგია კლიმატოლოგია 30 წლის წინანდელი ლიტერატურა ძირითად ლიტერატურაში არ იყოს წარმოდგენილი.“ მან იკითხა, თუ როგორი იყო ამასთან დაკავშირებით, =ექსპერტების პოზიცია, იყო თუ არა აღნიშნული ლიტერატურა რელევანტური, თუ სასურველი იყო დამატებულიყო განახლებული ლიტერატურა.
ექსპერტთა თავმჯდომარემ აღნიშნულ შეკითხვას უპასუხა,რომ დაწესებულების წარმომადგენლები დასთანხმდენენ და გაითვალისწინეს აღნიშნული რეკომენდაცია. მან აღნიშნა, რომარსებობდა კლასიკური მიმართულებებიც მაგრამ, მეტეოროლოგია კლიმატოლოგია იყო ძველი დარგი და დაკვირვებები ხდებოდა ბუდრუგანებში და იგივე აპარატურებში, თუმცა დღეს თამედროვე გეო ინფორმაციების უზურნველყოფა ხდებოდა კომპიუტერული საშუალებებით. ინსტიტუციას ჰქონდა თანამედროვე ლიტერატურა, ხოლო ეს ძველი ლიტერატურა არ უნდა ყოფილიყო ძირითად ლიტერატურაში.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა მარიამ ელიზბარაშვილმა ასევე დაამტა, რომ ლიტერატურასთან დაკავშირებული რეკომენდაცია გამომდინარეობდა იმით, რომ კლიმატოლოგია მეტეოროლოგია, გლობალური დათბობის ფონზე იყო ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი და აუცილებელი იყო უახლესი ინფორმაცია მიწოდებული ყოფილიყოსტუდენტისთვის.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ანთაზ ქიქავამ აღნიშნა, რომ მისაღები იყო ლიტერატურასთან დაკავშირებული რეკომენდაცია. მათ შეტანილი ჰქონდათ კოტარიას სახელმძღვანელო 1998 წელს, ასევე ელიზბარ ელიზბარაშილის ახალი სახელმძღვანელოც, თუმცა ეს არ მოიცავდა სილაბუსის მთლიან შინაარს. მან დასძინა ,რომ როდესაც კეთდებოდა ეს პროგრამა, მაშინ სხვა სახელმძღვანელო არ იყო გამოცემული, ხოლო ახლახან ქუთაისის უნივერსიტეტის გეოგრაფების მიერ გამოცემულ იქნაახალი სახელმძღვანელო, რომელიც შეტანილ იქნება პროგრამაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:58
დასრულების დრო: 17:23

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გეოგრაფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვისაკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წლის წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

1. რეკომენდირებულია მკაფიოდ გაიწეროს სწავლის შედეგები მათი გაზომვადობის და შეფასების მიზნით;
2. სასწავლო კურსებში პრაქტიკული კომპონენტის თემატიკა დეტალურად უნდა იყოს გაწერილი;
3. სასწავლო კურსში - მეტეოროლოგია კლიმატოლოგია 30 წლის წინანდელი ლიტერატურა ძირითად ლიტერატურაში არ იყოს წარმოდგენილი;
4. აუცილებელია ყველა სილაბუსში თითოეული შეფასება დეტალურად იყოს ჩაშლილი თითოეული ქულის დონეზე, რაც სტუდენტთა შეფასებას უფრო ეფექტურს გახდის;

რჩევები ფორმულირდა შემდეგი სახით:

1. სასწავლო კურსში-მსოფლიო ტურიზმის გეოგრაფია, VIII-X სალექციო თემატიკას წარმოადგენს -„ევროპის ტურიზმის გეოგრაფია“. მიზანშეწონილია რეგიონალური პრინციპით თემების ჩაშლა (მაგ. დასავლეთ ევროპის, სამხრეთ ევროპის, აღმ.ევროპის).
2. სასურველია, სტუდენტების აქტიური ჩართულობა კვლევით პროექტებში.
3. სასურველია, უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.
4. სასურველია, გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი აკადემიურ პერსონალთან მიმართებაში.
5. სასურველია წარმოდგენილი იყოს სრული პროგრამული ბიუჯეტი დაწესებულების საერთი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების მითითებით.
6. მიზანშეწონილია უზრუნველყოფილ იქნეს უფრო აქტიური კომუნიკაცია და თანამშრომლობა ხარისხის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელებსა და პერსონალს შორის, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას.
7. მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა სისტემურად გამოიყენოს პროგრამის გარე შეფასების ყველა მექანიზმი.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

1. **მეოთხე საკითხი:** შპს ევროპის უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტომატოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ავტორიზებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილება №5, 18.01.2016 აკრედიტაციის შესახებ გადაწტვეტილება №167, 22.07.2014
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	დონე 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0911 დენტალური მედიცინა
12	კვალიფიკაციის კოდი	-
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300 კრედიტი
15	განხორციელების ადგილი	სარაჯიშვილის ქ. №17, თბილისი, 0189, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა ეკატერინე ნაცვლიშვილმა და მაკა კაჭარავამ,
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვლადიმერ მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ მოცემულ პროგრამასთან მიმართებით ყველა სტანდარტი იყო სრულ შესაბამისობაში. ექსპერტმა განმარტა, რომ მათ აქვთ ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, რომელიც არამხოლოდ აღნიშნულ უნივერსიტეტს ეხება, არამედ ყველა უნივერსიტეტს სადაც სტომატოლოგია ისწავლება. პირველი რეკომენდაციაა „პრაქტიკულ/კლინიკურ ყველა სასწავლო კურსში შეფასება გახდეს გამჭირვალე და გაზომვადი“ მეორე რეკომენდაციაა „პაციენტების მიღება კლინიკურ საგნებში გახდეს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი.“ ექსპერტმა აღნიშნა, რომ აქვს თხოვნა სააკრედიტაციო საბჭოს წევრებთან, რომ გახდეს სავალდებულო ყველა უმაღლესი დაწესებულებისთვის პაციენტების მიღება კლინიკურ საგნებში იყოს სავალდებულო. მოხდეს სტანდარტის შემუშავება, ყველა სტომატოლოგიური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, სადაც ისწავლება სტომატოლოგია. ზოგად სტანდარტში იყოს მითითებული, რამდენი პაციენტის მიღება არის სავალდებულო, იმ მინიმალური პრაქტიკული უნარჩვევების გამოსამუშავებლად, რაც მერე უზრუნველყოფს წარმატებულ პრაქტიკულ მუშაობას. ასევე რეკომენდირებულია „გაიზარდოს სტუდენტთა უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან, სილაბუსებში გაიწეროს და დაკონკრეტდეს პაციენტებზე ჩასატარებელი კონკრეტული, სავალდებულო მანიპულაციების რაოდენობა.“ ექსპერტთა ჯგუფს ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო პრაქტიკულ უნარჩვევებზე, რომელიც აუცილებია იმისათვის, რომ სტუდნტი ჩამოყალიბდეს მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალ სტომატოლოგად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებუელბის წარმომადგენელმა სოფიო სამხარაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტებმა სიღრმისეულად და დეტალურად შეისწავლეს პროგრამა, ამავდროულად იყო საქმიანი და კომფორტული სამუშაო გარემო. რეკომენდაციებთან დაკავშირებით დაწესებულების

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სილაბუსებში დეტალურად და კონკრეტულად არ არის შეფასების სიტემა გაწერილი, მაგრამ თითოეულ სილაბუსს თან ახლავს „ჩექლისტები“, რომელიც ეგზავნება პედაგოგს და ის ასევე იტვირთება MooDle-ის პლატფორმაზე და ხელმისაწვდომია, როგორც განმახორციებლისათვის, ასევე სტუდენებისათვის, სადაც დეტალურად თითოეული პრაქტიკული უნარჩვევის შეფასება არის გაწერილი თითოეული კურსისთვის. რაც შეეხება რეკომენდაციას „პაციენტების მიღება კლინიკურ საგნებში გახდეს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი.“ დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პრაქტიკული აქტივობა არის შეფასებადი, რაც არის ერთადერთი ბერკეტი. მან დაამატა, რომ თუ პრაქტიკულ აქტივობას სტუდენტი, კურსის გავლის პერიოდში არ შეასრულებს, შესაბამისად იმ ქულებს, რაც არის გათვლილი პრაქტიკულ აქტოვობაზე ის ვერ მიიღებს, აქედან გამომდინარე პროგრამის წარმომადგენლებმა ჩათვალეს, რომ ეს ბერკეტი საკმარისიაიმისათვის, რომ ნებაყოფლობითი არ ყოფილიყო და გარკვეულწილად სავალდებულო ხასიათი მიეღო. ასევე რეკომედნირებულია „გაიზარდოს სტუდენტთა უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან, სილაბუსებში გაიწეროს და დაკონკრეტდეს პაციენტებზე ჩასატარებელი კონკრეტული, სავალდებულო მანიპულაციების რაოდენობა.“ დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კლინიკურ სილაბუსებში, ასე კონკრეტულად თითოეული მანიპულაცია გარკვეულად მიზანმიმართულად არ ჩამოწერეს, იმ თვალსაზრისით, რომ არ შეზღუდულიყო, არც განმახორციელებელი და არც სტუდენტები გარკვეული თემის გავლის პირობებში. მაგალითად, როდესაც პარადონტოლოგიას შეისწავლის სტუდენტი, ეს არის ღრძილების დაავადებები, თუ იმ პაციენტს აქვს კარიესული დაზიანება არ შეზღუდულიყო კარიესის მკურნალობა. აქედან გამომდინარეობდა დაწესებულების წარმომადგენლების მიდგომა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ ექსპერტის რჩევა საბჭოს მიმართ არის დარგობრივი საბჭოსთვის, რადგან დარგობრივმა საბჭომ უნდა შეიმუშაოს პროცედურების ჩამონათვალი და ყველა ის საკითხი, რაც ექსპერტთა თავმჯომარემ ჩამოთვალა ჩამოწერილი უნდა იყოს დიპლომირებული სტომატოლოგის პროგრამის სტანდარტებში და როდესაც აღნიშნული გაიწერება, უნდა განიხლოს დარგობრის საბჭოზე, რადგან აკრედიტაცის საბჭომ უნდა იხელმძღვანელოს აკრედიტაციის სტანდარტებით და დარგობრივი მოთხოვნებით. საბჭოს წევრმა, ასევე კითხვით მიმართა ექსპერტს, ხომ არ იყო ტექნიკური შეცდომა დასკვნაში გამოყენებულ ტერმინთან დაკავშირებით „ნახევრად ინტეგრირებული“ და აღნიშნა, რომ არ არსებობს ასეთი ტერმინი და შეიძლება იყოს „ნაწილობრივ ინტეგრირებული“ და „სრულად ინტეგრირებული“ და ნებსიმიერ დაწესებეულებას შეუძლია თავისი სურვილით აირჩიოს რა ტიპის პროგრამა სურს. საბჭოს წევრმა, ასევე კითხვით კითხვით მიმარათა დაწესებულების წარმომადგენელს და აღნიშნა, რომ პანდემიიით გამოწვეული შოკი დაკავშირებული იყო ასევე სტომატოლოგიურ პრაქტიკასთან, რადგან პაციენტებმა შეაჩერეს დაგეგმილი ვიზიტები, შეექმნათ პირის ღრუს პრობლემები, თუმცა ცდილობდნენ ექიმთან არ მისულიყვნენ. რამდენად არის შესაძლებელი სტუდენტისა და პაციენტის კონტაქტი კოვიდის პერიოდში და ხერხდებოდა თუ არა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ინსტიტუციას აქვს კარგი ანალიზი თუ როგორ ხდება სტუდენტების ჩარიცხვა სტომატოლოგიურ სპეციალობაზე, თუმცა, ეს არ არის შრომის ბაზრის ანალიზი, კერძოდ, არ არის წარმოდგენილი, ვინ გამოიკითხა, რამდენი გამოიკითხა და რამდენად რელევანტურია. მან დაამატა, რომ სტანდარტის მოთხოვნა არის თანამედროვე რელევანტური შრომის ბაზრის ანალიზის გაკეთება, რომ ის იყოს გათვალისწინებული პროგრამაში. როგორია დაწესებულების პოზიცია ამასთან დაკავშირებით. ასევე საბჭოს წევრი დაინტერესდა პროგრამულ ბიუჯეტზე, რომელზეც აღნიშნა, რომ არ იყო წარმოდგენილი. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ფაკულტეტის ბიუჯეტიდან შეიძლება იმის დადგენა, რომ აღნიშნული პროგრამა ფინანსურად მდგრადია, მაგრამ ეს იქნება დასკვნა და დაშვება. საჭიროა

პროგრამული ბიუჯეტი, რომელიც დაადასტურებს, რომ პროგრამა ნამდვილად არის ფინანსურად მდგრადი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, სოფიო სამხარაძზემ შეკითვებს უპასუხა და აღნიშნა, რომ პანდემიის პირობებში დიდი გამოწვევის წინაშე დადგა პროგრამა და წინა სასწავლო წელს მათ მოუწიათ სასწავლო ცხრილის ცვლილება რამოდენიმეჯერ, იქიდან გამომდინარე, რომ თავიდან იყო ცნობილი რა რეჟიმში გაგრძელდებოდა მუშაობა. დწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ ბევრ კლინიკასთან, რომლებთანაც აქვთ ხელშეკრულება, სადაც უნდა გაიარონ კლინიკური უნარჩვევები სტუდენტებმა, დაწესებულების წარმომადგენლები უკავშირდებოდნენ კლინიკებს და ეკითხებოდნენ შეძლებდნენ თუ არა სტუდენტების მიღებას.თუ კლინიკის მხრიდან იყო გარკვეული შეზღუდვა, დაწესებულების წარმომადგენლები ცდილობდნენ რომ ეს ყველაფერი ჩაენაცვლებინათ კლინიკური უნარების განვითარებული ცენტრით, რომელიც არისინსტიტუციაში და მომხდარიყო ეს ყველაფერი საფანტომო კლასებში და განხორციელებულიყო მულიაჟებზე. ის კლინიკები, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ შეეძლოთ ამ პირობებში უსაფრთხოების ყველა ზომის დაცვით სტუდენტების მიღება, ამ შემთევვაში სტუდენტები იგზავნებოდნენ კლინიკებში და იქ გადიოდნენ კილინიკურ საგნებს. აქაც ხდებოდა გარკვეული რაოდენობრივი შეზღუდვა, ან ორად იყოფოდა ჯგუფი, რათა მცირე რაოდენობით ყოფილიყვნენ წარმოდგენილი, ან საათობრივად ნაწილდებოდნენ. აქედან გამომდინარე დაწესებულების წარმომადგენლებმა, მაქსილმალურად ცადეს მიეღოთ ის შედეგი რაც სილაბუსით იყო გაწერილი, რათა მაქსიმალურად შეძლებოდათ სტუდენტებს აეთვისებინათ კლინიკური უნარები. სტომატოლოგიური მანიპულაციები და სტომატოლოგიის კლინიკური საგნების უმეტესობა ტარდებოდა სიმულაციურ ცენტრში, მაგრამ სტუდენტების ნაწილი დადიოდა კლინიკებში, რომელთანაც ინსტიტუციას ჰქონდა აფილირების ხელშეკრულება. უნივერსიიტეტში დაცული იყო უსაფრთოების ყველა ნორმა, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები უზურუნველყოფილი იყო ყველა სტუდენტისათვის, ამისთვის შეძენილი ჰქონდათდიდი მარაგები. მან ასევე დასძინა, რომ ამ სემესტრში აქტიურად მიმდინარეობდა შუალედური და დაკვნითი გამოცდები ოსკის ტიპით, რაც აუცილებლად ტარდებოდა უნივერსიტეტის სივრცეში.
საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, პაციენტების მოსაზიდად ფასდაკლების პრაქტიკასთან დაკავშირებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გარკვეული ფასთა სხვადასხვაობა შემუშავებული არ არის სტუდენტების პაციენტებისათვის da კლინიკასთან აფელირების ხელშეკრულებით რეგულირდება. თუ სტუდენტი იღებს პაციენტს ის უზუნველყოფს, როგორც წესი ახლობელ პაციენტებს. პაცინტმა წინასწარ იცის რომ მიდის სტუდენტთან.
დაწესებულების წარმომადგენელმა, სოფიო სამხარაძემ აღნიშნა, რომ მათი მცდელობა იყო გაერკვიათ რამდენად იყო პროგრამა მდგარადი, ეს კვლევა, პირველ ეტაპზე გადმოვიდა რათა გამოკვეთილიყო რამდენად არის მოთხოვნადი სტომატოლოგიის პროფესია და როგორც დადგინდა, რომ საკმაოდ აქტუალურია. რაც შეეხება შრომის ბაზარს და შემდგომში მათ დასაქმებას, კონკრეტული შრომის ბაზრის კვლევა არ ჩატარებულა, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებსჰქონდათ მონაცემები ჯანდაცვის სამინისტროდან თუ რამდენი მოქმედი კლინიკა და პოტენციური დამსაქმებელია.
ბიუჯეტთან დაკავშირებით ისაუბრა დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ტალიაშვილმა და აღნიშნა, რომ ზოგადად ბიუჯეტი ინსტიტუციაში დეცენტრალიზებული გზით დგება, ფაკულტეტებიდან და შესაბამისი სრუქტურული ერთეულებიდან ხდება ინფორმაციის მიღება. ბიუჯეტს როდესაც ადგენს ფაკულტეტი, პროგრამის ხელმძღვანელებთან გადის კონსულტაციას თუ რა არის საჭირო პროგრამისათვის და ეს ყველაფერი აისახება და ერთიანდება ფაკულტეტის ბიუჯეტში. ხოლო, მიზეზი იმისა თუ რატომ არ არის ცალკე პროგრამის ბიუეჯეტი, არის ის, რომ აკრედიტაციის დებულება და ზოგადად სტანდარტები ცალკე არ ავალდებულებს პროგრამის ბიუჯეტის გაწერას, არის გაკეთებული მხოლოდ დაშვება,

რომ შეიძლება გაკეთებული იყოს ფაკულტეტის ბიუჯეტიც. შესაბამისად ცენტრში წარდგენილ იქნა ფაკულტეტის ბიუჯეტი. მან აღნიშნა, რომ ცენტრმა დაიწყო წარმოება და ეს არ ყოფილა ხარვეზის მიზეზი, რაც ნიშნავს იმას რომ კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისად იქნა დოკუმენტი წარდგენილი. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ფაკულტეტის ბიუჯეტი ნამდვილად მეტყველებს იმაზე, რომ პროგრამა არის მდგარდი. მან დაამატა, ინსტიტუციას აქვს შესაბამის რესურსი იმისთვის, რომ განხორციელდეს აღნიშნული პროგრამა, მოხდეს აკადემიური პერსონალისათვის შესაბამისი თანხების გადახდა, სამეცნიერო კვლევითი რესურსისათ გათვალისწინებულია შესაბამისი თანხა და ა.შ.
საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმება დაწესებულების წარმომადგენლის პოზიციას და განმარტა, რომ პროგრამის ბიუჯეტი არის პროგრამის მდგარდობისთვის გათვალისწინებული და სტანდარტის მოთხოვნა არის ბიუჯეტი, რომელიც ადასტურებს პროგრამის მდგრადობას. აქედან გამომდინარე როგორ უნდა დაგინდეს, რომ აღნიშნული პროგრამა არის მდგარდი.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ალტერნატივად წარმოდგენილი აქვთ ფაკულტეტის ბიუჯეტი კონკრეტულად პროგრამის ბიუჯეტი არ ყოფილა მოთხოვნა და იმ ეტაპზე, როდესაც ცენტრს გამოუგზავნეს შესაბამისი დოკუმენტაცია, გამოიგზავნა ფაკულტეტის ბიუჯეტი, რაც არ დახარვეზებულა. ცენტრმა ეს მიიღო ცნობად. მან დაამატა, რომ ფაკულტეტის ბიუჯეტში შედგენილია პროგრამების ბიუჯეტების ჯამი და ფაკულტეტის ბიუჯეტი, რომელიც საკმაოდ მოცულობითია არის იმის გარანტია, რომ პროგრამა ნამდვილად მდგრადია. ასევე, გათვალისწინებულია დიდი რესურსი ინვენტარისთვის, სახარჯე მასალისთვის, კვლევითი საქმიანობისთვის და ა.შ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი გადმოსახედიდან მდგარდობა კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:50
დასრულების დრო: 18:04

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპის უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის სრული აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
2. პრაქტიკულ/კლინიკურ ყველა სასწავლო კურსში შეფასება გახდეს გამჭირვალე და გაზომვადი.
3. გაიზარდოს სტუდენტთა უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან, სილაბუსებში გაიწეროს და დაკონკრეტდეს პაციენტებზე ჩასატარებელი კონკრეტული, სავალდებულო მანიპულაციების რაოდენობა.

4. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.

რჩევები ფორმულირდა შემდეგი სახით:

1. უნივერსიტეტმა უნდა გააქტიუროს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიაზე მუშაობა და დაამყაროს საერთაშორისო კავშირები სტომატოლოგიის პროგრამის სტუნდენტების გავცლით პროგრამებში ჩართვის და მობილობის უზრუნველსაყოფად, რათა სტუდენტებს საშუალება ჰქონდეთ გაიუმჯობესონ აკადემიური მიღწევები და მხარდაჭერა ჰქონდეთ საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად.
2. პაციენტების მიღება კლინიკურ საგნებში გახდეს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი.
3. ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში დაემატოს ლექტორის მიერ მიწოდებული დამხმარე მასალები, „ჰენდაუტები“.
4. აქტიურად გაგრძელდეს და გამლიერდეს საერთაშორისო მობილობის გაზრდის მიზნით საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურისა და უნივერსიტეტის მიერ მუშაობა.
5. სასურველია აკადმიური პერსონალის მიერ ქულობრივი ვალდებულებების შესრულების დროს ფაკულტეტის მიერ მოხდეს მეტი ხელშეწყობა ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში, მასტერკლასებში მათი ჩართულობისათვის. ფაკულტეტის მიერ გამოყოფილი თანხა წლის განმავლობაში არ არის საკმარისი აღნიშნული ქულობრივი ვალდებულებების მისაღწევად, განსაკუთრებით დარგის სპეციალისტებისათვის, როგორც აკადემიური ასევევ მოწვეული ლექტორებისათვის, რომლებიც მუდმივად საჭიროებენ როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული უნარების ამაღლებას და გაუმჯობესებას.
6. ფაკულტეტის სამეცნიერო ჟურნალში მოხდეს დარგობრივი ნაშრომების გამოქვეყნება და სტუდენტების მაქსიმალური ჩართულობა პროფესორმასწავლებელთა თანაავტორობით.
7. სასურველია სტომატოლოგიური სიმულაციური და პრაქტიკული ლაბორატორიების გაფართოება, სიმულაციური სტომატოლოგიური დანადგარების დამატება სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით.
8. დარგის სპეციალისტებისათვის, როგორც აკადემიური ასევევ მოწვეული ლექტორებისათვის, რომლებიც მუდმივად საჭიროებენ როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული უნარების ამაღლებას და გაუმჯობესებას მოხდეს ფაკულტეტის მხრიდან მეტი ფინანსური ხელშეწყობა.
9. დამსაქმებლების აქტიურად ჩართვა პროგრამის შემუშავების, პროგრამაში ცვლილებების შეტანის და პროგრამის გაუმჯობესების პროცესში.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ევროპის უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა სრული აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

1. **მეხუთე საკითხი:** ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	დონე 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	Political Sciences and Civics, 0312
12	კვალიფიკაციის კოდი	-
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის 53 ა, 0179
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა

დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დავით გეგეჭკორმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მიუხედავად უნივერსიტეტის მზაობისა, მაქსიმალურად იყოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო მასშტაბის ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართული, სასურველია ქართული უნივერსიტეტი და უფრო კონკრეტულად საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა, უფრო მეტად იქნება ჩართული საერთაშორისო პროცესებში და ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის განვითარებას;
2. აუცილებელია პროგრამას თან ახლდეს კურიკულუმის რუკა/სასწავლო გეგმა, რათა მთლიანობაში მოხდეს პროგრამის სტრუქტურის, შინაარსის, სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების თანმიმდევრობის შესაბამისობის დადგენა სწავლების საბაკალავრო საფეხურთან;
3. პრაქტიკული/ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით სგანმანათლებლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული კომპონენტის მდგრადობა;
4. უნდა მოხდეს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების ჩაშლა, რისთვისაც უნდა გამოიყენონ დეტალური სქემა-რუბრიკების გამოყენება;
5. გაიზარდოს უნივერსიტეტის მხარდაჭერა, რათა აკადემიური პერსონალი აქტიურად გაეცნოს შეფასების თანამედროვე სტანდარტებს;
6. აუცილებელია გაიზარდოს უნივერსიტეტის ძალისხმევა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, რათა აღნიშნული პროგრამის სტუდენტებისათვის საერთაშორისო მობილობის რეალური შესაძლებლობა შეიქმნას;
7. საჭიროა პროგრამამ აქტიურად უზრუნველყოს სტუდენტთა ინფორმირებულობა საკონსულტაციო მომსახურების შესაძლებლობის შესახებ და თითოეულ სტუდენტს მიაწოდოს აღნიშნული მომსახურების განრიგი;
8. ადგილობრივი აკადემიური პერსონალის გაძლიერება;

აღნიშნულ მე-8 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრაამს ემსახურება 5 ადგილობრივი და 18 მოწვეული პერსონალი.

1. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული წიგნების კატალოგის სრულყოფა და ონლაინ ბაზების და ელ-ვერსიების გაუმჯობესება;
2. ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების პრაქტიკაში რეალურად დანერგვის მიზნით.
3. გაიზარდოს დამსაქმებლების ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფისა და საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში;
4. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მიზნით განხორციელდეს პროგრამის გარე შეფასება უცხოელი დარგის ექსპერტის მიერ, რაც ხელს შეუწყობს ერთი

მხრივ, პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის დაახლოებას საერთაშორისო სტანდარტებთან, ხოლო მეორე მხრივ, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაზრდას;

5. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და დაინტერესებული მხარეების რეალური ჩართულობა პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესებში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პაატა გოგიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები ნამდვილად იყო სწორად აქცენტირებული და უმრავლესობა მათგანს ეთანხმებიან უაპელაციოდ.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა რეკომენდაციებზე და განმარტა, რომ რეკომენდაციას „აუცილებელია პროგრამას თან ახლდეს კურიკულუმის რუკა/სასწავლო გეგმა, რათა მთლიანობაში მოხდეს პროგრამის სტრუქტურის, შინაარსის, სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების თანმიმდევრობის შესაბამისობის დადგენა სწავლების საბაკალავრო საფეხურთან;“ ეთანხმებიან დაწესებულების წარმომადგენლები და კურიკულუმის სარეკომენდაციო ხასიათის რუკას აუცილებლად წარმოადგენენ. როგორც აღნიშნულ საბაკლავრო პროგრამაზე, ასევე სხვა ყველა საბალავრო პროგრამაზე უნივერსიტეტში, რაც ეხება სამაგისტრო პროგრამებსაც ეს რუკა იყო ხისტად ფიქსირებული სახით და გარკვეულ პრობლემებს როდესაც შეხვდნენ ამ რუკასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, რომ ფიქსირებულად საგნებისთვის მიეწერათ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ როდესაც დაგეგმვაზეა საუბარი ცხადია, რომ სტუდენტს დახმარება დასჭირდება, ანუ თავისუფლება კარგია მაგრამ სტუდენტიცრომ არ იყოს დისკომფორტში, ამისათვის საგანმანათლებლო პროგრამაზე არის კოორდინატორი, დეკანატის წარმომადგენელი, რომელიც ისეთ შემთხვევაში თუ სტუდენტს დაგეგმვა დასჭირდება ამაში თანამონაწილეობას უწევს. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტებს,რომ მთლიანობაში პროგრამის კარგად აღსაქმელად გარკვეული სარეკომენდაციო სქემა კარგი იქნებოდა, რასაც ინსტიტუცია აუცილებლად გააკეთებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვალერი მოდებაძემ ისაუბრა მესამე რეკომენდაციაზე - „პრაქტიკული/ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით სგანმანათლებლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული კომპონენტის მდგრადობა;“ და აღნიშნა, რომ მას ქონდა გარკვეული შენიშვნები იმიტომ, რომ ინფორმაცია, რომელიც ნახა არ შეესაბამებოდა სიმართლეს. ექსპერტების დასკვნის მე-18 გვერდზე ეწერა, რომ „კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ პრაქტიკის კომპონენტი უღიარდათ საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის ნაწილში“ დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ასეთი რამ არ ხდება უნივერსიტეტში. ადრე უნივერსიტეტი მოქმედებდა ასეთი პრაქტიკული კურსი „საწარმოო პრაქტიკა“ და როდესაც თავად დაწესებულების წარმომადგენელი დაინიშნა საბკალავრო პროგრამის ხელმძღვანელად გადაწყვიტა, რომ საწარმოო პრაქტიკა შეეცვალა, რადგან სტუდენტები უკმაყოფილებას გამოხატავდნენ და პროტესტს გამოთქვამდნენ. ამის გამო მან ჩასვა სრულიად ახალი საგანი „პრაქტიკა“, შექმნა ახალი პრაქტიკის კურსი, რომელიც ხელს უწყობს პრაქტიკული და ტრასფერული უნარების განვითარებას, როგორიც არის სხვადასხვა კვლევის მეთოდის პრაქტიკაში გამოყენება საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად და კვლევების ჩასატარებლად, ასევე ასწავლის სტუდენტებს მონაცემების დაუშავებას და ანალიზს, კვლევითი ანგარიშის დაწერას და შექმნას. მან აღნიშნა, რომ სტუდენტები რეალურად ეუფლებიან ძალიან მნიშვნელოვან პრაქტიკულ და ტრანსფერულ უნარებს, რაც მთელი ცხოვრების განმავლობაში ადგებათ. ამჟამად უნივერსისტეტში მოქმედებს ახალი პრაქტიკის კურსი, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების პრაქტიკული და ტრასნფერული უნარების განვითარებას.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ირაკლი გორგილაძემ აღნიშნა, რომ მიზნობრივ ჯგუფთან დაისვა კითხვა, პანდემიის პირობებში, როგორ მოხდა პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება. მათ ეს დაადასტურეს და ეს აისახა დასკვნაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ვალერი მოდებაძემ განმარტა, რომ კურსდამთავრებულებს, რომლებთანაც ექსპერტებს ქონდათ გასაუბრება, გავლილი ჰქონდათ ძველი პრაქტიკის კურსი „საწარმოო პრაქტიკა“, ხოლო, ამჟამად უნივერსიტეტში მოქმედებსი ახალი კურსი „პრაქტიკა“, რომელიც სრულიად გასხვავდება ძველი კურსისგან და სწორედ ამიტომ დაფიქსირდა აღნიშნული მოსაზრებები.
19:00 საათზე სხდომა დატოვა გაიანე სიმონიამ.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ რეკომენდაცია „ადგილობრივი აკადემიური პერსონალის გაძლიერება“ აუცილებლად გასათვალისწინებელია სხვა რეკომენდაციებთან ერთად, აქ ალბათ ნაგულისხმებია რაოდენობის ზრდა, რადგან თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით დიდი დისბალანსია, 5 აკადემიური პერსონალი ასეთი დიდი მოცულობის პროგრამაზე და 38 მოწვეული პერსონალი. მას აინტერესებდა, რას გეგმავს ინსტიტუცია ამ მიმართულებით ახლო მომავალში და როგორ იგეგმება კადრების გაძლიერება, ასევე არჩეული 5 ადამიანი რა მიმართულებით არიან არჩეულები. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ როგორც არის კურიკულუმში შემოთავაზებული უცხო ენები სხვადასხვა მიმართულებით საჭიროებს კორექტირებას და დახვეწას. პირველ რიგში ინგლისური ენა, რომელიც არის სავალდებულო კურიკულუმში იწყება A1 დონით და ამ დონით დაწყება არის შეუძლებელი პროგრამაში, ვინაიდან საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ეროვნული სასწავლო გეგემით ინგლისური არის პირველი და სავალდებულო ენა და ის მთავრდება სკოლებში B1 დონით. სრულიად შეუსაბამობაა, როდესაც ბაკლავრიატი ისევ A1 დონით იწყებს ინგლისურს და ამთვარებს B2 დონით, რაც 4 სემესტრში შეუძლებელია. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ქონდა მოლოდინი დარგობრივი კურსებით იქნებოდა გაძლიერებული, თუმცა B2 დონის სილაბუსი უფრო ზოგადი ხასიათის იყო და არ იყო გაწერილი საერთაშორიო მიმართულებით. რაც შეეხება სხვა ენებს, რომლებიც არჩევითი სახით არის წარმოდგენილი, ასევე არის შეუსაბამობა, რადგან A1-დან B2 დონემდე იაპონურის და ჩინური ენის მიღწევა 4 სემესტრში სრულიად შეუძლებელია, რადგან ისეთი ენებია, რომლებიც სკოლებში არ ისწავლება და იშვიათად არის სადმე შეთავაზებული. მან დაამატა, რომ ეს სისტემა, როგორც არის წარმოდგენილი მეტნაკლებად შესაძლებელია სხვა ევროპული ენებისთვის (გერმანული, ფრანგული ან რუსული) იქაც შესაძლებლია იყოს შეუსაბამობა მაგრამ რაღაც ფორმით მაინც შესაძლებელია A1-დან B2 დონის მიღწევა, რადგან მეორე უცხო ენაა და შესაძლებელია აბიტურიენტს ქონოდა გავლილი სკოლაში, როგორც მეორე უცხოე ენა. აქედან გამომდინარე ამ ნაწილში კურიკულუმი საჭიროებს დახვეწას, კორექტირებას, როგორც ინგლისურის ნაწილში, ასევე აღმოსავლური ენების ნაწილში. მას აინტერესებდა თუ როგორია ამასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია.
საბჭოს წევრმა, თეონა მატარიძემ აღნიშნა, რომ გაეცნო კვლევის მეთოდების სილაბუსს და სქემატურად არასწორად იყო წარმოდგენილი, რადგან თვისებრივი კვლევით იწყებოდა სილაბუსი, შემდეგ გადადიოდა რაოდენობრივზე და უბრუნდებოდა თვისებრივს. კვლევის ანგარიშის და მონაცემთა ანალიზის შემდეგ შემოდიოდა კიდევ ორი ახალი მეთოდი, ამიტომ აუცილებლად გასასწორებელი იყო ეს მიმდევრობა. ასევე, მან აღნიშნა, რომ შეფასების კომპონენტში, შინაარსიდან არ ჩანს რა ტიპის დავალაებაა, რისი წინასწარ ცოდნაც მნიშვნელოვანია სტუდენტისათვის, რადგან პირველ რიგში ეს უნარ-ჩვევა უნდა განავითაროს და დავალების კონპონენტი არის ძალიან მნიშვნელოვანი. საერთაშორისო ურთიერთობის პროგრამისთვის ძალიან მნიშვნელოვანია დოკუმენტის ანალიზი და შემთხვევის ანალიზი. მან აღნიშნა, რომ რეალურად მასობრივი გამოკითხვა საერთაშორისო ურთიერთობის კუთხით ფაქტობრივად არ კეთდება, საერთაშორისო ურთიერთობებზე და პოლიტიკაზე ვინ უნდა გამოიკითოს მასობრივად. თუ სილაბუსი არის ბაზისური კვლევის მეთოდები, მაშინ

აუცილებლად უნდა იქნეს დამატებული ისეთი საგანი, რომელიც პროგრამის საჭიროებიდან და დარგის სფეციფიკიდან გამომდინარე იმ მეთოდებს ასწავლის სტუდენტებს, რომელზეც უნდა დაეშენოს არამხოლოდ საბაკლავრო, ასევე კვლევითი ნაშრომიც. საბჭოს წევრმა, ასევე ისაუბრა მეორე საკითზე, რომელიც შეეხებოდა აკადემიურ წერას და აღნიშნა, რომ დავალება ფაქტობრივად არის მხოლოდ ერთი პრეზენტაცია, ხოლო აკადემიური წერის ამოსავალი პრინციპი არის ასწავლოს წერა. მნიშნელოვანია ასევე პრეზენტაცია, თუმცა, თუ კვლევითი ნაშრომი არ იქნება ჩადებული სილაბუსში, სტუდენტმა ისწავლა თუ არა ციტირება, სტრუქტურა გაითავისა და გაიაზრა თუ არა ეს კურსი ვერ შემოწმდება, ამიტომ აქაც არის გარკვეული ცვლილებები საჭირო. მესამე საკითხი შეეხებოდა საგანს „Political and Social Studies," რაზეც საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მიზანში წერია, რომ ფარავს სოციოლოგიას, პოლიტიკა, სამართალს და ა.შ. ხოლო კურიკულუმში არის წარმოდგენილი სხვა საგნები. მას აინტერესებდა შეამჩნია თუ არა გადაფარვები ექსპერტთა ჯგუფმა და ასევე დაწესებულების წარმომადგენლებმა დარატომ შემოიტანეს აღნიშნული საგანი,რას ემსახურება და როგორ ზის კურიკულუმის სტრუქტურაში. ხოლო რაც შეეხება პრაქტიკას, საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, აქვთ თუ არა გამოთვლები და სად უნდა გაიაროს პრაქტიკა სტუდენტმა. პრაქტიკის კომპონენტში აქცენტი გაკეთებულია კვლევის მიმართულებით, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობების პროგარამაში კლევის უნარებს პრაქტიკის ფარგლებში, როგორ გამოიმუშავებს სტუდენტი საბჭოს წევრისთვის გაუგებარია.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილია ძალიან საინტერესო პროგრამა და კარგია, რომ ასეთი პროგრამა შეიქმნა. საბჭოს წევრმა მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ პროგრამის შეფასებისას სასწავლო კურსების და სწავლის შედეგების ნაწილში არ არის გაწერილი რეკომენდაციები, თუმცა, პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი და ცალკეული სასწავლო კურსების შედეგების ანალიზი აჩენს კითხვას, რატომ არის პროგრამაში ცალკეული სილაბუსები განსხვავებული სტრუქტურით წარმოდგენილი სწავლის შედეეგების კუთხით. ნაწილი სილაბუსებისა ძირითად სასწავლო კურსებში გაწერილია 6 კომპეტენციით, ანუ რესკრიპტორის ძველი მოთხოვნით და ნაწილი გაწერილია ახალი მიდგომით. იგი დაინტერესდა ექსპერტებმა შენიშნეს თუ არა ეს და თუ შენიშნეს რატომ არ არის თუნდაც რჩევა ამის თაობაზე. ასევე, სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, პროგრამის ბოლოში წარმოდგენილია რუკა, სადაც დაფიქსირებულია რომელი ძირითადი სასწავლო კურსირომელისწავლის შედეგზე შეიძლება გავიდეს. მე-9 სწავლის შედეგზე დაფიქსირებული არის გამსვლელი კურსები. მე-9 სწავლის შედეგი უფრო მეტად ავტონომიურობას და პასუხისმგებლობას ეხება. იმ სასწავლო კურსებში, რომლითაც ეს სწავლის შედეგი უნდა იყოს მიღწეული არ ჩანს არც სწავლების და არც შეფასების რომელიმე მეთოდი, რომელიც შესაძლებელს გახდის ვარაუდს კონკრეტული სასწავლო კურსი გადის ამ სწავლის შედეგზე თუ არა. ძირითადად სასწავლო კურსების უმეტესობაში შეფასების და სწავლების მეთოდებად იდენტური მეთოდებია შერჩეული. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ პროგრამის არცერთ სილაბუსში არ შეხვდა მაგალითად „ქეისის" ანალიზი, პრობლემურზე დაფუძვნებული სწავლება. ყველგან არის ლექცია, სემინარი, ჯგუფში მუშაობა და მსგავსი საკითხები. რამდენად არის შესაძლებელი ავტონომიურობის და პასუხისმგებლობის კომპეტენციის შეფასება შუალედური და ფინალური გამოცდებით, რომლებიც წერილობით ღია და დახურული კითხვების კომბინაციით ბარდება. ასევე სასწავლო პროგრამაში ბევრი სასწავლო კურსი მონათესავეა და ფაქტობივად რთულია იდენტიფიცირება ამ კურსების. „შესავალი საერთაშორისო ურთიერთობაში", „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია" „საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია" - საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ როდესაც ჩახედა აღნიშნულ სასწავლო კურსებს, რიგ შემთვევაში ხდებოდა საკითხების დუბლირება და ხშირ შემთვევაში გამოყენებული ლიტერატურაც იყო იდენტური. კურსები ისეა შეთავაზებული, რომ ერთმანეთის პრე-რეკვიზიტებიც არის, როგორ არის შესაძლებელი თუკი სტუდენტმა გარკვეული მასალა, გარკვეული სახელმძღვანელოდან ისწავლა, იმავე სახელმძღვანელოთი გაიაროს მომდევნო სასწავლო კურსზე საკითეხბი. ასევე პროგრამის მდგრადობის

თვალთახედვით, რამდენად არის მიზანშეწონილი ერთი და იგივე ადამიანის მიერ 13 სასწავლო კურსის განხორციელება, რომელიც ასევე 13 სასწავლო კურსის ავტორად არის მონიშნული. რა ხდება ამ შემთვევაში, განმახორციელებლად სხვა მოიაზრება და ეს მხოლოდ ავტორია თუ არა. საბჭოს წევრმა განმარტა, რომ საინტერესო იქნებოდა ექსპერტების პოზიცია ამასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ კარგია ასეთი პროგრამის შექმნა. თუმცა არის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც უნდა განიმარტოს. ბევრი საუბარია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, თუმცა საბოლოოდ გამოკითხულია 11 ორგანიზაცია. ამ 11 ორგანიზაციიდან, 6 არის ისეთი, რომელსაც უწერია პოლიტიკური რეფომების განხორციელება. საბჭოს წევრის მოსაზრებით ესენი არიან არასამთავრობო ორგანიზაციები, ხოლო დანარჩენი 5 ორგანიზაცია არის სხვადასხვა სფეროებიდან. რამდენად რელევანტურია კერძო კომპანიის გამოკითხვა ამ ტიპის, საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამისათვის. იგი დაინტერესდა, შესაძლებელია ამ კერძო კომპანიების წარმოდგენა, როგორც ერთ-ერთი დამსაქმებელი ამ პროგრამის კურსდამთავრებულისთის? ხომ არ ჯობდა უფრო ზუსტად ყოფილიყო გამოყოფილი ველები, სადაც ელოდებიან ამ ტიპის კურსდამთავრებულებს. ასევე, მან აღნიშნა, რომ როდესაც აღნიშნული უნივერსიტეტი იწყებდა მოღვაწეობას 2008 წელს, ყველა პროგრამისთვის ქონდა გაწერილი მოსული სტუდენტების რაოდენობის მიხედვით რა ვითარება იქნებოდა, დადგენილი იყო მინიმალური რაოდენობა, რომლის საფუძველზეც გაიხსნებოდა ჯგუფი, შემდეგ პირველ წელს ამას დააფინანსებდა ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიუჯეტი, თუმცა ახლა ეს დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ საბჭოს წევრები უნდა იყვნენ დარწმუნებულები, რომ ფინანსურად მდგარდია პროგრამა. რამდენი სტუდენტის მიღებას აპირებს პროგრამა, რამდენია მინიმალური რაოდენობა, რომელზეც პროგრამა მიიღებს სტუდენტებს და საიდან დაფინანსდება პირველი წელი. საბჭოს წევრმა დადებითად შეაფასა წარმოდგენილი 7 სხვადასხვა სილაბუსი ეკონომიკაში და ბიზნესში, საიდანაც ნაწილი სავალდებულოა და ნაწილი არჩევითი. თუმცა ასევე ახსენა, რომ მაგალითად „ეკონომიკის საფუძვლები“, რომელიც ისწავლება ერთ სემესტრში და მიზნებში შესაძლებელია ჩარჩენილია სილაბუსში „მენეჯმენტი და მარკეტინგი“ წერია. ეკონომიკის საფუძვლებში მენეჯმენტს და მარკეტინგს არ ასწავლიან, თანაც შედარებით ნაკლებად არის მიკრო ეკონომიკის საკითხები წარმოდგენილი და აღნიშნა, რომ უმჯობესი ხომ არ იქნებოდა ისწავლებოდეს ორ სემესტრად წარმოდგენილი სახელმძღვანელოს „მენქიუს“ გათვალისწინებით. საბჭოს წევრმა ასევე დაამატა, რომ „საერთაშორისო ბიზნესის“ სილაბუში არის 26 თემა და შუძლებელია 15 კვირაში 26 თემის გავლა, მაშინ როდესაც მას ასევე წარმოდგენილი აქვს კროს-კულტურული ურთიერთობები ბიზნესში. პროფესიული საზოგადოებისთვის გასაგებია, რომ საერთაშორისო ბიზნესის საკითხების 2/3 ეს არის კროს-კულტურული ურთიერთობები ბიზნესში. შესაძლებელია ამ ორი კურსის ძალიან კარგად გადანაწილება ისე, რომ სტუდენტთა ინტერესები საუკეთესოდ იქნება დაცული,განიტვირთება სილაბუსი და აღარ იქნება 26 თემა, ხოლო კურსდამთავრებულს მიეცემა აუცილებელი ცოდნა. მან ასევე აღნიშნა, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტის მომზადება ეკონომიკური ცოდნის გარეშე წარმოუდგენელია. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მისი პოზიციით კიდევ უფრო გააძლიერებდა ეკონომიკური დისციპლინების სწავლებას, თუმცა მნიშვნელოვანი იყო ზღვრის დაცვა, რათა პროგრამა არ გადასულიყო საერთაშორისო ეკონომიკური ურთერთობების პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პაატა გოგიშვილმა აღნიშნა, რომ აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით იგეგმება აკადემიური პერსონალის დამატება. ასევე დაწესებულების წარმომადგენელმა, შეკითხვაზე, რომელიც შეეხებოდა ერთი ადამიანის მიერ რამდენიმე სასწავლო კურსის წაკითხვას აღნიშნა, რომ ეს ვითარება პროგრამის მდგარდობისთვის არის გამოსასწორებელი,დაწესებულების წარმომადგენლებს აქვთ გადაგმული ნაბიჯები ამასთან დაკავშირებით და ცვლილება შეიტანეს ამ პროგრამაში. მან ასევე აღნიშნა, რომ უმჯობესი იყო პროგრამის მდგარდობისთვის ეს ნაბიჯები აქამდეც გადაედგათ. ასევე უცხო ენასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ როდესაც აბარებს

აბიტურიენტი ეროვნულ გამოცდებს და მინიმალური კომპეტენციის ზღვარს გადალახავს, ეს არანაირად არ ნიშნავს, რომ მას აქვს გარკვეული დონე თუნდაც A2 დონეზე, ზოგ შემთხვევაში მას A1 დონეც არ გააჩნია. მან ასევე აღნიშნა, რომ ენების ცენტრთან ხშირად გადის კონსულტაციებს, რადგანაც ეს პრობლემა ყველა უნივერსიტეტს აწუხებს. საბაკლავრო საფეხურზე, საერთაშორისო ურთიერთობების პროგრაამზე B2 დონეს თუ არ მიაღწევს სტუდენტი, საუბარიც ზედმეტია, რომ მან კომუნიკაციის უნარი ინგლისურად აითვისა.დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მას შეუძლია ენების ცენტრიდან, რომელიც უტარებს სტუდენტებს გამოცდებს დონის დასადგენად. გამოითხოვოს მასალა. ეს არის ქვეყნისთვის ძალიან ცუდი მდგომარეობა, მაგრამ ფაქტია. ინსტიტუციის წარმომადგენლებს ამისათვის, პროგრამაში გათვალისწინებული აქვთ 30 კრედიტი ინგლისური ენის ამოსაწევად იმ სტუდენტებისთვის ვისაც ნულოვანი დონე აქვს. მან დაამატა, რომ ეს კრედიტები დიდი ოდენობით არის, რაც ასევე იწვევს გაუგებრობას რადგან ეს საათები უშუალო სპეციალობის საათებთან იკვეთება. თუმცა პროგრამაში ასეა გაწერილი, რომ 30 კრედიტი შეეხებათ მხოლოდ იმათ ვისაც აქვთ ნულოვანი დონე, რათა ავიდნენ B2 დონეზე. მაგრამ ვინც მოდის მაღალი დონით, მას დაბალ დონეებს ცალკე აღარ ასწავლიან და შეუძლია აითვისოს მხოლოდ B2 დონემდე მისასვლელი კრედიტები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ინსტიტუციას, რომ ნულოვანი დონე გულისხმობდა იმას, რომ აბიტურიენტმმა ჩააბრა სხვა უცხო ენა მისაღებ გამოცდებზე?

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, ეს ნიშნავს, რომ აბიტურიენტმა ჩააბარა ინგლისური, მიიღო გამსვლელი ქულა, შემდგომ უნივერსიტეტში შემოწმდა ინგლისურის დონე და აღმოჩნდა, რომ მას A1 დონეც არ აქვს. ეს იგულისხმება ნულოვან დონეში. ინსტიტუციის ენების ცენტრი, თავის დაზღვევის მიზნით, რომ არ დაიჩაგროს ასეთი სტუდენტი, ყოველთვის ამოწმებს მის დონეს ინგლისურ ენაში. კომპეტენციის ზღვარის დაწესება არის ერთ-ერთი გამოსავალი, თუმცა ამ შემთხვევაში შესაძლებელია შემცირდეს სტუდენტების რაოდენობა, რადგან ინგლისურის ცუდი ცოდნით ვეღარ მოვლენ და ესეც გარკვეულ წილად მდგრადობასთან არის კავშირში და ამ ეტაპზე მოქმედი მეთოდი იქნა შერჩეული. A1, A2, B1, და B2 სასწავლო კურსის სილაბუსები შემუშავებულია, ინსტიტუციის ენების ცენტრის მიერ, რასთან დაკავშრებითაც დაწესებყლებას ჰქონდა ბევრი კონსუტაცია, მათ შეისწავლეს სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებები რამდენ ხანში სთავაზობენ დონეების ათვისებას და 8 საათი აქვს უცხო ენაში თითოეულ კვირაში შეთავაზებული სტუდენტს. კრედიტების რაოდენობა ძირითადად საკონტაქტო საათებში იხარჯება და ამის ხარჯზე ხერხდება შეწავლა 4 სემესტრში. ეს არის სპეციალურად კარგად დამუშავებული მეთოდოლოგია და ეს 8 საათის დაწესებულების წარმომადგენლის თქმით დიდი დისკომფორტია, თუმცა ინსტიტუციის პოზიციიით უცხო ენა მიაჩნიათ, რომ არის დამატებითი სპეციალობა, რომელსაც ამ პროგრამასთან ერთად აძლევენ სტუდენტს და არ დაინანეს ამაზე კვირეული 8 საათიც კი.

საბჭოს წევრმა მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ საერთაშორისო ურთიერთობები ის პროგრამაა სადაც უცხო ენას აქვს დიდი სტატუსი როგორც დარგის გამაძლიერებელი ენები და ასევე არ არის საკმარისი ერთი ენა, თუმცა შეთავაზებულია მეორე ენაც არჩევითი კომპონენტის სახით. ეს არ არის პროგრამა, სადაც ინგლისური არის მხოლოდ ფუფუნების საგანი. ეს არის სავალდებულო კომპონენტი, დარგის გამაძლიერებელი, რის გარეშეც ვერ ჩამოყალიბდება საერთაშორისო ურთიერთობის ბაკალავრი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვალერი მოდებაძემ აღნიშნა, რომ საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც დისციპლინა ანგლოსაქსურ სამყაროში წარმოიშვა, ყველაზე მეტი ლიტერატურა ამ დარგში გამოცემული არის ინგლისურ ენაზე, სწორედ ამიტომ დაწესებულების წარმომადგენელმა საჭიროდ ჩათვალა, რომ მთავარი აქცენტი გაეკეთბინა ინგლისურ ენაზე, რადგან თუ სტუდენტი ათას ენას ისწავლის იქიდან არცერთი არ ეცოდინება კარგად, ამიტომ 9 ენის ნაცვლად დაწესებულების წარმომადგენელს უმჯობესად მიაჩნია

ისწავლოს ერთი ენა გამართულად, დაეუფლოს სრულფასოვნად ინგლისურ ენას, რომ მან შეძლოს ლიტერატურის წაკითვა ორიგინალში.ასევე მიზანი იყო, რომ ინგლისურენოვანი ლექციები მოესმინა სტუდენტს. საქართველოში შეინიშნება რელევანტური ლიტერატურის ნაკლებობა ამ დარგში, რასაც გარკვეული მიზეზები გააჩნია, ერთი მიზეზი ეს არის ისტორიული მიზეზი. ამ დარგის შესწავლა დაიწყო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, მაშ შემდეგ გაჩნდა ლიტერატურა ამ დარგში და აშაკარად შეინიშნება რელევანტური ლიტერატურის ნაკლებობა ქართულ ენაზე. სწორედ ამიტომ დაწესებულების წარმომადგენლებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ გაძლიერებულად ესწავლებინათ ინგლისური ენა სტუდენტებისათვის, რათა სრულფასოვნად დაუფლებოდნენ დარგს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პაატა გოგიშვილმა ისაუბრა ბიუჯეტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ კანცლერი ადგენს ბიუჯეტს და მათთან ექსპერტებს ჰქონდათ გასაუბრება,დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ როგორც თვითონ აქვს ინფორმაცია ამ თვალსაზრისით საკმაოდ მდგარდი მდგომარეობაა უნივერსიტეტში. პროგრამაში გაწერილია ზღვრული ოდენობა 120 სტუდენტზე, ანუ ჯამში 120 სტუდენტზე მეტს არ ვარაუდობს ინსტიტუცია. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ თუ მოვა ძალიან ცოტა სტუდენტი იქმნება თუ არა ჯგუფი. გამომდინარე იქიდან, რომ ეს არის საბაკლავრო პროგრამა აუცილებლად უნდა შეიქმნას ჯგუფი მხოლოდ ერთი სტუდენტიც რომ მივიდეს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დარწმუნებულია ბევრი წლის მარაგით იქნება გაწერილი ბიუჯეტი, იქიდან გამომიდნარე, რომ მოხდეს ისე, რომ არ მოვიდნენ სტუდენტები და გასავალი იყოს დიდი და შემოსავალი არ იყოს სათანადო, სტუდენტების მდგრადობას საფრთხე არ შეექმნას. ამასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ახსენა წინამორბედი პროგრამა, რომელიც ჰქონდა აღნიშნულ პროგრამას, სადაც ერთი პერიოდი იყო სტუდენტების კარგი მიღება, თუმცა შემდეგ წარმოიშვა გარკვეული პრობლემები. ხოლო ინსტიტუციამ მიიღო რადიკალური გადაწყვეტილება, რადგან უკმაყოფილო იყვნენ ძველი პროგრამის ხელმძღვანელით, წარმოიშვა გარკვეული პრობლემები და მოიწვიეს ახალი ხელმძღვანელი, რათა სიახლე შეეტანათ. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა სხვა ფორმით წარმოდგენილ სილაბუსებზე, სადაც წარმოდგენის ფორმა, დაჯგუფება ზოგიერთ სილაბუსში არის დასაწუნი, თუმცა შინაარსი, სწავლის შედეგები რაც არის წრამოდგენილი, რეალურად სწორი შედეგებია და ამ შედეგებს სასწავლო კურსთან აქვს სწორი ბმა. მან აღნიშნა, რომ დაჯგუფებას ინსტიტუცია მოაწესრიგებს და გაასწორებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვალერი მოდებაძემ შენიშვნასთან დაკავშირებით, რომ თავად კითხულობს 13 საგანს, აღნიშნა, რომ გაითვალისწინეს შენიშვნა და გადაწყვიტეს, რომ მოწვეული პერსონალისთვის გაენაწილებინათ ეს საგნები და მაქსიმალურად შეამცირეს საგნები რასაც პროგრამის ხელმძღვანელი წაიკითხავდა. რაც მოხდა ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ. კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით სოციალურ მეცნიერებებში, დაფიქსირდა ასეთი მოსაზრება, რომ ეს საგანი საერთაშორისო ურთიერთობებისთვის საჭირო არ არის, რადგან საერთაშრისო ურთიერთობებში კვლევები არ არის საჭირო, რომ ჩატარდეს. დაწესებულების წარმომადგენელემა განმარტა, რომ პირიქით საჭიროა.

საბჭოს წევრმა თეონა მატარიძემ განმარტა, რომ მისი მოსაზრება არ ყოფილა ასეთი. ეს კურსი არის ყველა უნივერსიტეტში წარმოდგენილი, ეს არის საბაზისო მეცნიერებათა კვლევის მეთოდების კურსი და ძალიან კარგია, რომ არის პროგრამაში, თუმცა ეს ვერ ფარავს დარგორივი კვლევის საჭიროებას და თუ ეს კურსი დარჩება, მაშინ აუცილებლად უნდა დაემატოს ან მოხდეს ამ კურსის მოდიფიცირება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვალერი მოდებაძემ ისაუბრა რა სახის კვლევები ტარდება საერთაშორისო ურთიერთობებში. მაგალიად ინსტიტუციის წარმომადგენლები ატარებენ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას, რადგან აინტერესებთ მოსახლეობის დამოკიდებულება სხვადასხვა საკითხის მიმართ. მაგალითად როგორია მოსახლეობის დამოკიდებულება ნატოში ინტეგრაციის მიმართ, როგორია ქართული მოსახლეობის დამოკიდებულება ევრო ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართ, როგორია დამოკიდებულება მეზობელი

სახელმწიფოების მიმართ. ძალიან საინტერესო კვლევების ჩატარება შეიძლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში და ბევრი საკითხი ფაქტობრივად შეუსწავლელია. საზოგადოებრივი აზრი მუდმივად იცვლება და ეს არ არის სტატიკური ფენომენი და ექვემდებარება ცვლილებებს, ამიტომ ეს კვლევები უნდა ტარდებოდეს რეგულარულად, რომ დადგინდეს, როგორ იცვლება მოსახლეობის განწყობა ამა თუ იმ პოლიტიკური საკითხის მიმართ. ინსტიტუცია ატარებს პოლიტიკურ კვლევებს და სტუდენტები ეუფლებიან ისეთ ტრანსფერულ უნარებს, რომელიც შემდეგ მთელი ცხოვრების განმავლობაში გამოადგებათ, ამიტომ აღნიშნული სავალდებულო საგნად სპეციალურად ჩასვა პროგრამაში დაწესებულების წარმომადგენელმა. მან ასევე აღნიშნა, რომ თუ რაიმე ხარვეზი არსებობს სილაბუსში, ამას აუცილებლად ეტყვიან სილაბუსის ავტორს და ის გამოასწორებს ამ შნეიშვნას. დაწესებულების წარმომადგენლებს არ გამოუხატავთ ხისტი პოზიცია, რომ მაგალითად არაფრის შეცვლა არ შეიძლება სილაბუსში. შესაძლებელია რომელიმე თემა შესაცვლელია და აუცილებლად მოხდება საბჭოს წევრების მოსაზრებების გათვალისწინება და დაიხვეწება. დაწესებულების წარმომადგენლებმა გააფორმეს მემორანდუმები ოთხ კვლევით ცენტრთან და დაგეგმეს კიდევ სხვა კვლევით ცენტრებთან მემორანდუმების გაფორმება. ასევე, დაიგეგმა სტუდენტების გაგზავნა ამ კვლევით ცენტრებში, სადაც შეძლებენ დაეუფლონ იმ ტრანსფერულ უნარებს, რომლებიც აუცილებელია კვლევის ორგანიზებისათვის.

საბჭოს წევრმა თეონა მატარიძემ აღნიშნა, რომ მისი პირადი მოსაზრებით, თუ გადავხედავთ ნაშორმებს, რომლებიც დაცულია საერთაშორისო ურთიერთობებში.,დისერტაციები იქნება, სახელმძღვანელოები თუ კვლევები იქ ძალიან იშვიათად არის მასობრივი გამოკითხვები. დამოკიდებულებები მნიშნელოვანია, თუმცა ეს არ განსაზღვრავს საერთაშორისო პოლიტიკას და ეკონომიკას, რომლის გარშემოც არის პროგრამა აგებული. აღნიშნული პროგრამის პრაქტიკა არის ტრანსფერული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული, ეს იქნება კვლევითი კომპანიები და არა ორგანიზაციები, რომლებიც განსაზღვრავენ საერთაშორისო პოლიტიკას. მან დაამატა, რომ პროგრამა მიდის არა დიპლომატიის, არამედ ანალიტიკის კუთხით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვალერი მოდებაძემ განმარტა თუ რატომ აირჩიეს კვლევით ცენტრები და აღნიშნა, რომ ინსტიტუციის პრაქტიკა არის სპეციფიკური, რადგან ითვალისწინებს კვლევითი უნარების განვითარებას.უვითარებს სტუდენტებს ტრანსფერულ უნარებსმაგრამ მათ უწევთ სხვადასხვა კვლევის მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება, სწორედ ამიტომ საჭიროდ ჩათვალეს დაწესებულების წარმომადგენლებმა, რომ კვლევით ცენტრებთან გაფორმდეს მემორანდუმები და არა სახელმწიფო სტრუქტურებთან. ასევე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ როდესაც სახელმწიფო სტრუქტურებში გადიან პრაქტიკას სტუდენტები, ისინი ძირითადად რუტინულ დავალებებს ასრულებენ, ისეთ დავალებებს, რომლებიც მათ არაფერში არ გამოადგებათ და დაწესებულების წარმომადგენლებს არ უნდოდათ, რომ სტუდენტებისთვის დრო დაეკარგათ ასეთ საკითხებში. შეიქმნა ისეთი პრაქტიკის სილაბუსი, რომელიც კონკრეტულ სპეციფიკურ უნარ-ჩვევებს განუვითარებს სტუდენტებს და გამოადგებათ შემდეგ კვლევების ჩატარების დროს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე ისაუბრა, რომ ინსტიტუციაში აქტიურად გამოიყენება „ქეის სთადი“ - კონკრეტული შემთხვევის ანალიზი და მას შეუძლია დაასახელოს ის საგნები, სადაც დაინერგა ეს მეთოდი.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს წევრები გადაწყვეტილებას იღებენ წარმოდგენილი სილაბუსის საფუძველზე და ისინი ვერ შეფასებენ აუდიტორიაში რა კეთდება და როგორია ლექციის წაკითხვის თუ შეფასების სტრატეგიები და მეთოდები. სასწავლო კურსებში არსად არ ფიგურირებს, არც სწავლების მეთოდებში და არც შეფასების მეთოდებში.

დაწესებულების წარმომადგენელემა, ვალერი მოდებაძემ აღნიშნა, რომ შეუძლია დაადასტუროს „ქეის სთადის“ გამოყენება. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ იყენებს წიგნს, რომელიც თავად გამოსცა „გადაწყვეტილების მიღების პროცესი საგარეო პოლიტიკაში“, ხოლო ამ წიგნიში „ქეის სთადი“ ძალიან აქტიურად გამოიყენება. გაანალიზებულია სხვადასხვა

ქეისები. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ შესაძლებელი იყო, რომ ამის მითითება გამორჩათ და მექანიკური შეცდომა დაუშვეს, რადგან არ იყო მითითებული, რომ ქეისების განხილვა ხდება. მან დაამატა, რომ შეიტანდნენ ცვლილებებს.
ლიტერატურის დუბლირებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ სკრუპულოზურად შეამოწმეს ყველა სილაბუსი, რომ არ მომხდარიყო თემების დამთხვევა. საგნებში „საერთაშორისო ურთიერთოებების თეორია“ „საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია“ და „შესავალი საერთაშორისო ურთიერთოებებში“ თემატურად ეს საგნები არ ემთხვეოდა ერთმანეთს და სხვადასხვა ლიტერეატურა იყო გამოყენებული.
საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშილმა დააზუსტა, რომ როდესაც ერთიდაიგივე მსხვილ სასწავლო კურსის ჩაშლა ხდება 5-6 სასწავლო კურსად გვერდს ვერ ავარიდებდით დამთხვევას.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველგან არ ჰქონდა გამოყენებული „რონდელი“,მაგალითად „შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში“ ირაკლი მანველიძის წიგნი არის მითითებული ძირითად ლიტერატურაში და „რონდელი“ საერთოდ არ არის ნახსენები. ასევე „საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში“ სხვა ლიტერეატურაა მითითებული. მან თქვა, რომ „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში“ მარტო „რონდელის“ წიგნი არ არის მითითებული, ასევე მითითებულია სხვა სავალდებულო ლიტერატურაც (მაგალითად: კვეტენაძის „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“).
საბჭოს წევრმა თეონა მატარიძემ დააზუსტა კითხვა ორ ინგლისურენოვან საგანთან დაკავშირებით: სოციალური და პოლიტიკური კვლევა და სოციოლოგია. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით სოციოლოგია და მეორე საგანი პრიორიტეტი არ უნდა ყოფილიყო, უკეთესი იქნებოდა უცხოელი მკვლევარი თუ პროფესორი ჩართულიყო უფრო პროფილურად და არა სოციოლოგიის ან პოლიტიკური კვლევის კუთხით. მას აინტერესებდა თუ როგორია დაწესებულების პოზიცია ამ საგნის გადაფარვაზე სხვა საგნებთან.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საერთაშორისო მეცნიერება ეს არის ინტერდისციპლინარული მეცნიერება, რომელიც სხვადასხვა დარგებიდან იღებს შევსებას, სესხულობს თეორიებს, სწორედ ამიტომ დაწესებულების წარმომადგენლებმა შექმნეს ასეთი ინტერდისციპლინარული სილაბუსი, სადაც განხილული იყო სხვადასხვა თემები, მნიშვნელოვანი საკითხები საკითები საერთაშორისო ურთიერთობებისათვის. მაგალითად სოციალური სამართლიანობა, სოციალური სამართლიანობა და თანასწორობა. ბევრი საკითხი არის დაკავშირებული სოციოლოგიასთან და შეუძლებელია საერთაშორისო ურთიერთობების გაგება თუ სხვა საგნებში არ ექნება სტუდენტს ცოდნა. სწორედ ამიტომ შეიქმნა ასეთი ინტერდისციპლინარული სილაბუსი.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ირაკლი გორგილაძემ ისაუბრა, თუ როგორ ზის ინგლისურენოვანი საგანი სტრუქტურაში. სტრუქტურა რთულად ასაღქმელი იყო,ასევე რთული იყო ლოგიკური ბმების გაყოლა ან თვალის გადევნება, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფმა საერკომენდაციო ნაწილში ჩასვა, რათა უკეთ დაენახათ სად რა პრობლემა იყო. სხვა შემთხვევაში, არამხოლოდ ამ ნაწილში, სხვა ნაწილშიც მნიშვნელოვანი საკითხები იყო რაზე დაშენება მოხდა, ლოგიკური ბმა, წინაპირობები, რაც რთულად გასაგები იყო და გაიწერა სარეკომენდაციო ნაწილში. აგრეთვე მონათესავე საგნებზე, ლიტერატურაც მეორდებოდა, თუმცა ის, რომ უნდა გაერთიანებულიყო საფუძვლები, თეორია და ისტორია, ექსპერტმა როგორც დარგის სპეციალისტმა ჩათვალა, რომ არ იყო საჭირო. მან დაამატა, რომ აუციებელი იყო საფუძვლები წაკითული ყოფილიყოსაფუძვლების ნაწილში, რადგანიქ არის ძრითად ტერმინთა განმარტებები, ინსტრუმენტები და ა.შ.~
საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მისი პოზიცია არ იყო, რომ ეს საგნები გაერთიანებულიყო. მან დაამატა, რომ ყველა სპეციალობას ჰქონდა საგანმანათლებლო კურსების აწყობის თავისი ლოგიკა. რათქმაუნდა შესავალი კურსის წაკითხვისას შემდგეგ ხდება გაღრმავება და განმტკიცება, ამიტომაც იყო ალბათ ექსპერტების მხრიდან გამოთხოვილი, რომ ეს დალაგებულიყო. მისი კითხვა შეეხებოდა, ერთი და იგივე ადამიანის მიერ 13 კურსის

წაკითხვას და ასევე სხვადასხვა სასწავლო კურსებში, ალბათ სხვადასვხა საკითხთან მიმართებაში მაგრამ მაინც ერთი და იგივე რესურსი, თან ეს კურსები ხშირ შემთხვევაში ისეთი ლოგიკით იყო განლაგებული, რომ ერთსადა იმავე თემებს აშუქებდნენ. მაგალითად გერმანიის საგარეო პოლიტიკა, შემდგომ გერმანია ისევ როგორც ევროკავშირის ქვეყანა ისე იქნებოდა გაშუქებული. მან აღნიშნა, რომ მაშინ საკითხები უნდა იძლეოდეს საშუალებას, რომ იმდენად სიღრმისეულად იყოს გაანალიზებული ყოველ მომდევნო კურსში, რომ თემების დუბლირება გამოირიცხოს. ექსპერტების პოზიციაში ამ ნაწილთან მიმართებაში რჩევაც კი არ იყო დაფიქსირებული. ვერ შენიშნ ექსპერტთა ჯგუფმა, რომ სწავლის შედეგები 6 კომპეტენციაზე იყო გაწერილი, ასევე ცოდნა და გაცნობიერება არ იყო ის, რომ სტუდენტს შეეძლო საერთაშორისო და რეგიონული კონფლიქტების ანალიზის განხორციელება და კრიზისული მოვლენების შეფასება.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ირაკლი გორგილაძემ განმარტა, რომ სამწუხაროდ არ გაუვლია ყველა სილაბუსი, ეს მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, მაგალითად კვლევის მეთოდები, რომლებიც ექსპერტისთვის საინტერესო იყო გადახედა და რჩევის ნაწილში გამოიტანა, რადგან ჩათვალა, რომ არარელევანტური ფორმა იყო ჯგუფში მუშაობის და აისახა დასკვნაში. ექსპერტმა, ასევე საგნებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შემთხვევით შერჩევის პრინციპით იქნა არჩეული, ასევე, ლიტერატურის თაობაზე რჩევად იქნა მიწოდებული ინსტიტუციისათვის. ასევე სარეკომენდაციო ნაწილში იყო პერსონალის თაობაზე და თავად პროგრამის ხელმძღვანელმა უთხრა ექსპერტთა ჯგუფს თუ როგორ ახერხებდა 7 და 8 საგანის ერთად სწავლებას. მაგარამ თავად პროგრამის ხელმძღვანელმა ახსნა, რომ ნაწილი საგნების არჩევითი იყო და არჩევითი საგნების სტრუქტურა არ ახლდა საგანმანათლებლო პროგრამას და ესეც გაიწერა სარეკომენდაციო ნაწილში. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ექსპერტებს დეატლურად არ ჩაუშლიათ, მაგრამ კონკრეტული პრობლემები, რომლებიც შენიშნეს ექსპერტებმა გამახვილებულად და ერთ ქუდში მოქცეული გამოიტანეს დასკვნაში. იგივე პერსონალთან დაკავშირებით, ინსტიტუცია კარგად იყო წარმოდეგნილი მოწვეული პერსონალით, ეს რესურსი აქვთ მაგარმ აკადემიურ თანამდებობებზე ეს ადამიანები არ არიან და ინტერვიუირების დროსაც იყო ნახსენები, რომ სასურველია ეს რესურსი უკეთ ყოფილიყო გამოყენებული.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სხვა დანარჩენთან ერთად შეეცადნენ, ერთად აესახათ სარეკომენდაციო ნაწილში, თუმცა არ ჩაუშლიათ და ერთ ქუდში მოაქციეს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:30
დასრულების დრო: 21:00

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2 წლის ვადით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და 2.2 და 2.3 ქვესტანდარტები ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" შეაფასა

როგორც "ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", შესაბამისად, მე-2 სტანდარტი ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" შეფასდა როგორც "ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

საბჭომ რეკომენდაციები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

1. რეკომენდირებულია პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდეს მკაფიოდ, იყოს მიღწევადი და გაზომვადი.
2. რეკომენდირებულია მკაფიოდ გაიწეროს სწავლის შედეგები მათი გაზომვადობის და შეფასების მიზნებით; დაზუსტდეს სწავლის შედეგების რუკა.
3. აუცილებელია პროგრამას თან ახლდეს კურიკულუმის რუკა/სასწავლო გეგმა, რათა მთლიანობაში მოხდეს პროგრამის სტრუქტურის, შინაარსის, სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების თანმიმდევრობის შესაბამისობის დადგენა სწავლების საბაკალავრო საფეხურთან;
4. გადაიხედოს სავალდებულო და არჩევითი უცხო ენების სწავლების საკითხი მათი დონეების შეთავაზების კუთხით და დიფერენცირებულად იყოს წარმოდგენილი მათი სწავლება:1) ინგლისური ენა (B1 დან -B2 დონემდე, მათ შორის დარგობრივი ინგლისური ენის შეთავაზებითა და გაძლიერებით); 2) აღმოსავლური ენები (იაპონური, ჩინური)-(A 1.1-A 1.2, A 2.1-A 2.2, B 1.1-B 1.2).
5. რეკომენდირებულია გადაიხედოს სპეციალობის ძირითადი და სავალდებულო სასწავლო კურსები და გამოკვეთოს ლოგიკური თანმიმდევრობა.
6. რეკომენდირებულია სასწავლო კურსები გადიხედოს სასწავლო თემების გადაფარვის აღმოფხვრის და ლიტერატურის განახლების მიზნით.
7. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში სწავლის შედეგები გაიწეროს მკაფიოდ და დაზუსტდეს კურსის შინაარსის შესაბამისად.
8. რეკომენდირებულია „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებების“ კურსის შინაარსი დალაგდეს თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების შესაბამისად, მკაფიოდ გამოიკვეთოს კვლევის პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების მექანიზმი.
9. რეკომენდირებულია პროგრამის კურიკულუმში გათვალისწინებულ იქნას საერთაშორისო ურთიერთობების დარგის რელევანტური მეთოდები (მაგ. შემთხვევის შესწავლა, დოკუმენტების ანალიზი)
10. პრაქტიკული/ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით სგანმანათლებლობლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული კომპონენტის მდგრადობა;
11. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში სწავლება-სწავლის მეთოდები დაზუსტდეს სილაბუსის შინაარსისა და მისაღწევი შედეგების შესაბამისად. მკაფიოდ გაიწეროს აქტივობები.
12. უნდა მოხდეს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების ჩაშლა, რისთვისაც სასურველია დეტალური სქემა-რუბრიკების გამოყენება.
13. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში შეფასების კომპონენტები დაზუსტდეს სილაბუსის შინაარსისა და მისაღწევი შედეგების შესაბამისად. მკაფიოდ გაიწეროს რუბრიკები.
14. პროგრამის მდგრადობის, განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყფის მიზნით საჭიროა აკადემიური პერსნალის რაოდენობრივი ზრდა დარგობრივი მიმართულებით , რაც დააბალანსებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობას.
15. გაიზარდოს უნივერსიტეტის მხარდაჭერა, რათა აკადემიური პერსონალი აქტიურად გაეცნოს შეფასების თანამედროვე სტანდარტებს.
16. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული წიგნების კატალოგის სრულყოფა და ონლაინ ბაზების და ელ-ვერსიების გაუმჯობესება.
17. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.

18. რეკომენდირებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.
19. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და დაინტერესებული მხარეების რეალური ჩართულობა პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესებში.

რჩევები ფორმულირდა შემდეგი სახით:

1. სასურველია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი და დაზუსტდეს კვლევაში მონაწილე სუბიექტები.
2. სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში“ გადაისინჯოს სწავლების მეთოდები და მოხდეს ჯგუფში მუშაობის შედეგზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვა.
3. სასწავლო კურსებში, შესაძლებლობების ფარგლებში, მაქსიმალურად განალდეს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა.
4. გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად გაიზარდოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირებულობა და პროცესებში ჩართულობა.
5. სასურველია სასწავლო კურსში "ეკონომიკის საფუძვლები" მოხდეს შინაარსის კორექტირება. მიზანშეწონილია სასწავლო კურსი წარმოდგენილი იქნას ორ სემესტრად.
6. მიზანშეწონილია დაზუსტდეს სასწავლო კურსების: "საერთაშორისო ბიზნესი" და "კროს-კულტურული ურთიერთობები ბიზნესში" შინაარსი და ურთიერთთანადობა. მიზანშეწონილია სასწავლო კურსში "საერთაშორისო ბიზნესი" შემცირდეს სასწავლო თემების რაოდენობა.
7. სასურველია სასწავლო კურსს "ციფრული ეკონომიკის საფუძვლები" განესაზღვროს წინაპირობები.
8. სასურველია უსდ გააღრმავოს კავშირები პრაქტიკის აგენტებთან რათა უზრუნველყოფილი იქნას პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევადობა.
9. სასურველია უსდ-ს გააჩნდეს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები და ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით განახორციელოს შესაბამისი აქტივობები.
10. აუცილებელია მკაფიოდ გაიწეროს და თვალსაჩინოდ განთავსდეს საკონსულტაციო საათების განრიგი რათა სტუდენტს, საგანში დამატებით კონსულტაციის მიღების და გაცდენილი საათის აღდგენის საშუალება მიეცეს.
11. სასურველია გაიზარდოს სტუდენტთა ინფორმირებულობა ისეთ საკითხებთან დაკავშრებით, როგორიცაა გასაჩივრების პროცედურები, რათა საჭიროების შემთხვევაში აქტიურად შეძლონ საკუთარი უფლებების დაცვა და მიღებულ შეფასებასთან დაკავშირებული უკმაყოფილების გამოხატვა.
12. სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი ელემენტების შეთავაზება სტუდენტებისთვის.
13. სასურველია პროგრამის შემუშავება/განვითარების პროცესში გათვალისწინებული იყოს საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 32 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-32 ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 275-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 276 მუხლის პირველი პუნქტის

„გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 21:05 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ